დეკემბერი
1963 წ. № 12

# საქართველოს ქალი

645
1963/2



შეხვედრა



პეიზაჟი

# ნანი შალიკაშვილი



ბაზრობიდან დაბრუნებ

მხატვარ ნანი შალიკაშვილის სახელი კარგად არის ცნობილი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მისი ნამუშევრები, დაწყებული 1956 წლიდან, ექსპონირებულია რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე. ამ ნამუშევართა ამპლუა გრაფიკული ტილოებია, სავსე მუქითა და ნათელ ფერთა შეხამებით. თუ მხატვრის შესრულების ტექნიკა მუდამ ერთია, სამაგიეროდ თემატიკა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

საინტერესოა ძველი თბილისისადმი მიძღვნილი ტილოების სერია. თბილისელებმა უკვე დიდი ხანია გაიცნეს და შეიყვარეს ეს ნამუშევრები — ძველი თბილისის მშვენიერება და მომხიბვლელობა. ავტორი ხან დაბრეცილი ქუჩების სივიწროვით სტკბება, ხან მინებჩალეწილი ფარნებით, ხან თავბრუდამხვევ ხვეულ კიბეზე ადის და იქიდან დაჰყურებს მოწითალოსახურავებიან სახლებს, ერთმანეთზე რომ ლამობენ თითქოს შეხლას.

მხატვარი მარტო ქრონიკიორად და იმ ამბის მთხრობელად როდი გვევლინება, რომელიც ყოველი ძველი ქალაქისა და მისი მხატვრების ტრადიციად ქცეულა; შალიკაშვილს უყვარს თავისი მშობლიური ქალაქი და სიხარულით აღიქვამს მის ყოველ სიახლესა და სილამაზეს. ასე გაჩნდა მკვეთრკონტრასტებიანი ქალაქის პეიზაჟი: ძველი სახლები და ფუნიკულიორის პლატოზე მოთავსებული სადგური ცადატყორცნილი სატელევიზიო ანძით.

ნ. შალიკაშვილის ნაშრომების შემდეგი დიდი ციკლი — „ჩაის კრეფა“ — მინდვრის მშრომელებისადმია მიძღვნილი, რომელშიც ქართველი გლეხის შრომის ამსახველი მრავალი ტილო შედის. როცა ამ სურათებს უყურებ, გაგონდება იმპრესიონისტები ყოვლისშემძლე ფერთა დომინირებით, შუქისა და ჰაერის უდიდესი შეგრძნებით. რა შესანიშნავად აქვს მოძებნილი პოზები ორი ქალისათვის, რომელთაც ერთი წამით შეუჩერებიათ მუშაობა და მთელი დღის ნაჯაფარი ზურგი ჯერ კიდევ ხეირიანად ვერ გაუმართავთ. ორი მოკლე ფრაზა და ისინი ისევ პლანტაციებში არიან, მარჯვედ ამოძრავებენ თითებს. ამ ტილოების ფერთა გამა გამოირჩევა მკვეთრი კონტრასტებით: ხასხასა მწვანე ველი, მუშაქალის ლურჯი თავსახვევი, ნარინჯისფერი ბლუზა, შავი განიერი ქვედაწელი, ყოველივე ეს ლაჟვარდი ცის ფონზე სამხრეთული მზის სხივებით გამოწვეულ ზებუნებრივ ფერთა რიტმს ჰქმნის.

ნანი შალიკაშვილმა რამოდენიმე ნაშრომი კახეთის პეიზაჟს მიუძღვნა. საერთო სახელწოდების ნაშრომებიდან, ერთერთში იგი გრაფიკული ენის მრავალნაირ საშუალებას იყენებს, ხან აკვარელით ოდნავ აღნიშნავს ცის სილურჯეს, ხან აქა-იქ მიმოფანტავს ნახშირით შესრულებულ ხეებს, რომელნიც მთელი ძალით ზევით მიისწრაფიან, ხან კი, ხატავს რა თუშეთის ფერადოვან ბუნებას, იმისათვის, რომ მეტი მატერიალურობის შეგრძნება შეჰქმნას, იყენებს პასტელის ფერებს. თავისი კოლორიტით საინტერესოა სურათი „დასვენება“ (კახეთის პეიზაჟის იმავე სერიიდან), შესრულებული პასტელითა და ნახშირით. აქ არის კახეთის ლანდშაფტში მახვილი თვალით შემჩნეული ფერთა შესანიშნავი შეხამება და სხვადასხვა რაკურსებში გამოხატული გლეხი ქალების კარგად დამუშავებული მუქი ფიგურები, რომელთა სახეები მხატვარი ქალისათვის საყვარელი მანერით — ცალკეული ფერადი ლაქებით და ხაზებითაა გადმოცემული. შალიკაშვილმა თავისებურად და დიდი ოსტატობით გადაწყვიტა აღებული თემა, სავსებით გაამართლა საბჭოთა მხატვრის—ადამიანის ესტეტურ გრძნობათა მშენებლის მისია, მხატვრისა, რომელიც მნახველს ეხმარება ახლებურად დაინახოს სამყარო.

ნ. შალიკაშვილის ნამუშევრებიდან ყურადღებას იმსახურებს ნახატების სერია ინდუსტრიული რუსთავის თემაზე. ავტორს მოხერხებულად დაუჭერია ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქის შრომითი ცხოვრების მაჯისცემა. მთავარი როლი სურათებში დათმობილი აქვს ადამიანს, მის კეთილშობილურ და შეგნებულ შრომას.

ქართველ მხატვარ ქალთა ჯგუფთან ერთად ნ. შალიკაშვილმა რამოდენიმეჯერ იმოგზაურა რესპუბლიკის რაიონებში და, ამ ჯგუფის სხვა მხატვრებთან ერთად, საზოგადოების წინაშე წარსდგა ახალი ნამუშევრებით.

ამჟამად მხატვარი ამზადებს სურათებს გამოფენისათვის „მშვიდობის სადარაჯოზე.“

ი. ილინა



სამუშაოდან დაბრუნება



„თავისუფლება" — ეგვიპტელი მხატვრის გამალ ას-საგინის ბარელიეფი.

# ႵႠႰႧႪႨႱ ႣႶႤ

# დგება ახალი წელი

## საინტერესოა ვიცოდეთ

### სად როდის ხვდებიან ახალ წელს?

ბირმაში, მაგალითად, ახალ წელს ხვდებიან აპრილის თვეში, როცა ძალიან ცხელა და მთავრდება ტროპიკული წვიმების პერიოდი. ვიეტნამში ახალი წლის დადგომას ზეიმობენ ადრეულ გაზაფხულზე. ჩინეთში საახალწლო დღესასწაული ძველი ტრადიციის მიხედვით აღინიშნება ახალი მთვარის დადგომიდან პირველ დღეს. ძველი ჩინელი ასტრონომების გამოთვლით ახალი წელი დგება ერთერთ რომელიმე დღეს 20 იანვრიდან 18 თებერვლამდე. სირიელებისათვის ახალი წელი პირველ სექტემბერს იწყება.

ბევრ ქვეყანაში ამჟამად საახალწლო სასმისები 31 დეკემბრის ღამიდან მოყოლებული 1 იანვრამდე ისმევა. მაგრამ 200 წლის წინათ ინგლისში ახალი წელი 26 მარტიდან ითვლებოდა. დაახლოებით ამ დღეს ემთხვეოდა საახალწლო დღესასწაულები საფრანგეთში ოთხი საუკუნის წინ.



### რატომ ნაძვის ხე?

საკითხავია, საახალწლო ხედ რატომ ითვლება ნაძვი და არ ითვლება ალვა, ფიჭვი, თუნდაც სოჭი?

მწვანე, სურნელოვანი მზეთუნახავი ნაძვი უხსოვარი დროიდან მიჩნეულია განსაკუთრებულ ხედ. ძველ გერმანელებს სწამდათ, რომ ნაძვში ცხოვრობს ტყის სული, რომელიც იცავს ყველა მცენარეს, ნადირს და ფრინველს. ამიტომაც ნაძვთან ხშირად მოდიოდნენ ტომების ბელადები, თაყვანს სცემდნენ ძლიერ სულს, რომ მისგანაც მიეღოთ კეთილი განწყობა. მაშხალების შუქზე ელავდა მეომართა რკინის ქუდები და იარაღი. საიდუმლოდ გაისმოდა მათი ალთქმა. ნაძვის დათოვლილ ტოტებზე მეომრები კიდებდნენ ნადავლს, ირმის ტყავებს, მოსართავებს.



ნაძვის თაყვანისცემის ეს წესჩვეულება გადაიღეს ჰოლანდიელებმა, უფრო გვიან — ინგლისელებმა. ნაძვს ახლა მიიჩნევდნენ არა სულის ადგილსამყოფელად, არამედ უჭკნობი სიცოცხლის სიმბოლოდ, მარადიული ახალგაზრდობის და ძალის გამომხატველად.

რუსეთში საახალწლო ნაძვის ხე პეტრე I-ის სპეციალური ბრძანებით შემოვიდა. მან განკარგულება გასცა, 1.700 წლის 1 იანვარს ყველა სახლში მოერთოთ ნაძვის ხე და გამხიარულების მიზნით ადამიანებს ერთმანეთისათვის მიელოცათ ახალი წელი. იმ დღეს ქალაქში ქუხდნენ ზარბაზნები, ენთო ფეიერვერკი. მას შემდეგ ტყის ამ მორთული სტუმრის გარეშე არ ჩატარებულა არცერთი საახალწლო დღესასწაული. სხვადასხვა ბრჭყვიალა სათამაშოებით მოკაზმული ნაძვის ხე ერთნაირად ახარებს პატარებსაც და დიდებსაც.

ტროპიკულ ქვეყნებში კი, სადაც ნაძვი არ ხარობს, მას ცვლიან სამხრეთის მცენარეებით. ვიეტნამში, მაგალითად, იყენებენ ატმის ხის ტოტებს, იაპონიაში — ბამბუკს, ფიჭვისა და ქლიავის ხის ტოტებთან შეხამებულს, რაც სიძლიერის, ხანგრძლივი ცხოვრების და სწრაფი გამრავლების სიმბოლოა.

### როდის გაჩნდა თოვლის ბაბუა?

როგორც წესი, ახალწლის ღამეს ნაძვის ხეზე გამოცხადდება ხოლმე კეთილი მოხუცი, გრძელი ვერცხლისფერი წვერით, თეთრ შუბაში ჩაცმული და ზურგზე მოდებული საჩუქრების ტომრით. ეს თოვლის ბაბუაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გაჩნდა ამ ორი ათასი წლის წინათ. მაშინ ჩრდილოეთის მცხოვრებლები საწესჩვეულებო ღამეებში სახლის ზღურბლს იქით ყრიდნენ კვერებს, ხორცის ნაჭრებს, ასხამდნენ სასმისით ღვინოს და შესთხოვდნენ თოვლს, როგორც სულიერ არსებას, არ გაბრაზებულიყო, არ შეეფერხებინა მათი ნადირობა, არ გაეფუჭებინა ნათესები.

ბრიტანეთის კუნძულებზე საშობაო ნაძვის ხესთან ერთად გაჩნდა ინგლისური თოვლის ბაბუა — სანტა-კლაუსი. ამ თეთრწვერა მოხუცს მოჰქონდა საჩუქრები.

აქედან გავრცელდა თოვლის ბაბუა რუსეთშიც.



## საიდან მოდის ნიღაბი?

საახალწლო მეჯლისებზე დღესაც მიღებულია ნიღბის ხმარება. ადრე კი ნიღაბს სხვა მიზნებისთვისაც იყენებდნენ. შუა საუკუნეებში ნიღბით სარგებლობდნენ მეტწილად არასადღესასწაულო მიზნებისათვის. ნიღბის ქვეშ მალავდნენ სახეს ყაჩაღები. დიდგვაროვანი ადამიანები, როცა ქალაქში რაიმე სათავგადასავლო ამბებისათვის მიემგზავრებოდნენ, სახის დასაფარავად იყენებდნენ ნიღაბს. ნიღბით დადიოდნენ დაქირავებული მკვლელები, დუელის მონაწილენი, და ზოგჯერ ქალებიც, რომლებსაც სურდათ დაემალათ თავიანთი საიდუმლო.

ყოველგვარი კოსტუმირებული მეჯლისის აუცილებელ ატრიბუტად კი, რა თქმა უნდა, ნიღაბი ითვლებოდა.

რუსეთში პირველად ნიღაბი 1.722 წელს იხმარეს, როცა მეფის სასახლეში მოეწყო დიდი მასკარადი შვეციასთან ზავის დადების აღსანიშნავად.

# თქვენ თვითონ დაამზადეთ!

ყველას უნდა, რომ მისი ნაძვის ხე ლამაზად მორთული იყოს. ზოგნი არასწორად ფიქრობენ, რომ ამისათვის საჭიროა ძვირფასი სათამაშოების შეძენა, მაგრამ თუ ჩვენ თვითონ დავამზადებთ სათამაშოებს, ნაძვის ხე უფრო მიმზიდველი იქნება.

სინჯეთ ბავშვებო და დარწმუნდებით!

განსაკუთრებით ახარებთ ნაძვის ხეზე მოწვეულ სტუმრებს სათამაშო — სიურპრიზი. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ფერადქაღალდშემოვლებული კაკალი, ან ასანთის კოლოფი, შიგ მოთავსებული კამფეტით. კამფეტის გარდა, მასში შეიძლება ჩავდოთ ანდაზა, ქარაგმული თქმა, კეთილი სურვილი.



სათამაშოს კვერცხის ნაჭუჭისგანაც ამზადებენ. კვერცხის ბოლოში გაკეთებულ ნახვრეტში სდებენ კამფეტს ან ქაღალდზე დაწერილ რაიმე სურვილს.

კვერცხზე შეიძლება დახატოთ სასაცილო კაცის თავი და დაახუროთ ქაღალდისაგან დამზადებული ქუდი. ეს ქუდი მაგრად უნდა დააწებოთ და ქუდის წვერზე გაუკეთოდ ჩამოსაკიდი.



ქაღალდისა და მუყაოსაგან შეიძლება, აგრეთვე, ნავების, ფანრების, ქისების დამზადება და მათში ტკბილეულის ჩაწყობა.



საინტერესო სათამაშოების გაკეთება ბამბისგანაც შეიძლება. ამისათვის ბამბა უნდა მოათავსოთ ბერთოლეს მარილისაგან დამზადებულ სქელ, გაცხელებულ ხსნარში. ბამბა კარგად უნდა გაიჟღინთოს, გაშრეს და შემდეგ გაიწეწოს. ის ისევ ფაფუკი გახდება და მოგეჩვენებათ ბრჭყვიალებით დაფარული.



თუ ნაძვის ხის ტოტებზე გათქვეფილ კვერცხის ცილას წაუსვამთ და ზედ სუფრის მარილს მოაყრით, ტოტები თოვლით დაფარულის შთაბეჭდილებას დასტოვებს.

თუ გსურთ ნაძვის ხეზე ყინულის ლოლუები დაკიდოთ, გამოჭერით ლოლუების ფორმის ქაღალდის ზოლები, მიაწებეთ ერთმანეთზე და ამოავლეთ ბერთოლეს მარილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოთარ გოგრონიძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვრები: ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე

სარკმელთან ზის ლადი...

გარეთ თეთრი და ცისფერი აკაციები ერთმანეთს ეფერებიან. ქუჩა ვიწროა და ძველი, დაბალი ნაცრისფერი სახლები ერთმანეთს გვანან.

დილაა...

სარკმელთან ზის ლადი. რაფაზე მისი ყავარჯნებია მიყუდებული. მისი სარკმლის წინ მეზობლის სარკმელია. სარკმელს ოდესღაც ცისფრად შეღებილი ჩარჩო ქონდა. ეს იყო დიდი ხნის წინათ. ლადი მაშინ ძალიან ახალგაზრდა იყო და უყავარჯნოდ დადიოდა...

მეზობლის სარკმელში, თეთრი ფარდების ფონზე ციმციმებენ ლანდები. ახალგაზრდა ცოლქმარი სულ ერთი თვის წინ ჩაასახლეს ამ ოთახში.

ამ ოთახში ერთი თვის წინ ცხოვრობდა მოხუცი მესაათე, იგი გარდაიცვალა მოულოდნელად. სარკმელთან იჯდა ლადი, მესაათე რომ გამოასვენეს. მთელი ქუჩა მიაცილებდა მოხუცს...

ლადის არ უყვარდა მესაათე, იმიტომ რომ იგი ცხოვრობდა მისი სარკმლის წინ. ალბათ, არც მოხუც მესაათეს უყვარდა სარკმელთან უქმად მჯდარი კაცი, რომელიც ბოროტი თვალებით იყურებოდა...

მოხუცი დაასაფლავეს. ნათესავებმა წაიღეს სხვადასხვა ზომის საათები. ლადი სარკმელთან იჯდა და უყურებდა ცარიელ ოთახს, რომელსაც გახუნებული კედლები ქონდა...

ახლა თეთრი ფარდების ფონზე ციმციმებენ ლანდები...

ახალგაზრდებმა ოთახის კედლები თეთრად შეღებეს, სარკმელს ჩამოაფარეს თეთრი ფარდები, შუა ოთახში დადგეს დაბალი მაგიდა, კუთხეში — ტახტი და რადიომიმღები...

დილით დგება ცოლი, იცვამს ყვავილებიან თეთრ ხალათს და იწყებს საუზმის სამზადისს. დაბალ მაგიდას აფარებს საფარს, რომელსაც ბოლოებში ყვითელი ზოლები აქვს. მერე დგება ქმარი, იგი მაღალია და ფართობეჭებიანი, ერთხანს უაზროდ დაბორიალობს ოთახში, მერე უკმაყოფილოდ ათვალიერებს ცოლს და მიდის პირის დასაბანად...

ლადი თავის სარკმელთან ზის და გულისტკივილით აღნიშნავს თავისთვის, რომ ქალი ძალიან გამოუცდელია... ღამის პერანგი ხალათზე გრძელი აქვს და სიარულს უშლის. ქმარს კი არ მოსწონს, როცა ცოლს რამე უშლის ხელს.

ქმარი დილით მარტო ყავას სვამს. მერე ცოლს კოცნის და მიდის სამსახურში. ცოლი რთავს რადიომიმღებს, რბილი ჰანგები იღვრება მეზობლის ოთახიდან. ისინი დაუპატიჟებლად შემოდიან ლადის ოთახში. ლადი კი სარკმელთან ზის და უყურებს მეზობლის სარკმელს, რომელსაც ოდესღაც ქონდა ცისფერი ჩარჩო...

მისი სარკმლის წინ ცხოვრობდა გოგონა...

გოგონა ძალიან ლამაზი იყო. არც მაშინ, არც იმის შემდეგ არ უნახავს ლადის იმაზე ლამაზი ქალი. ქერა თმა ქონდა და ცისფერი თვალები, უყვარდა ცისფერი კაბა, მისი სახლის წინ დარგული აკაციებიც ცისფერი იყო...

პატარა ქუჩაზე ორი სარკმელი ერთმანეთს უყურებდა.

„გამოხვალ?"

„არა..."

„რატომ?"

„უკვე გვიანია".

„სულ ათი წუთი."

„არ შემიძლია!"

„მაშინ ხუთი."

„კარგი..."

დაბლა წუთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თითქოს ერთმანეთს ასწრებდნენ სირბილში, თვალსა და ხელშუა ქრებოდა საათები.

„რომელი საათია?"

„ჯერ ადრეა".

„მაჩვენე საათი".

საათი ულმობელი იყო, დაუნდობელი, ითვლიდა დროს.

გოგონა მიდიოდა სახლში. ეძინა ქუჩას. არ ეძინა ლადის. ორი სარკმელი უყურებდა ერთმანეთს...

გარეთ თბილი, გვიანი ღამეა. მისი სარკმლის წინ ღია სარკმელია და სინათლით სავსე ოთახი. ცოლქმარი წვეულებიდან დაბრუნებულან ახლახან და დასაწოლად ემზადებიან...

— მე კმაყოფილი ვარ დღევანდელი საღამოთი. შენ? — ეკითხება ცოლი, რომელიც ამოფარებია კარადის კარებს.

— ჰა?!

— რაზე ფიქრობ?

— რაზე უნდა ვფიქრობდე, უბრალოდ დაღლილი ვარ. — ეუბნება ქმარი და იხსნის ჰალსტუხს.

ლადი ჩაბნელებულ სარკმელთან ზის, სვამს ჩაის. მისი სარკმლის წინ ღია სარკმელია და სინათლით სავსე ოთახი. ღამის მყუდროებას არღვევს ცოლქმრის ლაპარაკი.

— ცრუობ. შენ რაღაცაზე ფიქრობ და მე მიმალავ... — ქალი შორდება ცისფერ საფარს, თმა მხრებზე აქვს ჩამოშლილი, იგი სარკის წინ ჯდება. ქმარი ტახტის კიდეში ზის და არ იღებს ხმას.

— რამდენი ვიცეკვე... რა კარგად ცეკვავდა ის ყმაწვილი...

ქმარი რაღაცას ცრის კბილებშუა:

— რა თქვი?

— არაფერი.

— როდის დაიწყე საკუთარ თავთან ლაპარაკი?

— იმის შემდეგ, რაც შენ გამაბედნიერე.

— საინტერესოა...

— ვერაფერს ვხედავ საინტერესოს.

„ბიჭი ეჭვიანობს — ფიქრობს ლადი — უყვარს და იმიტომ ეჭვიანობს. ვერ ეტევა საკუთარ კანში... ქალი უნდა მოეფეროს, ალერსი დააშოშმინებს"...

—რა მოგივიდა? — უკმაყოფილოდ ეკითხება ცოლი.

ქმარი ზურგს აქცევს.

— მემდური?.. კი მაგრამ, რატომ?

— კარგად რომ იცი თავის დაჭერა, იმიტომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აუტანელი ხარ! — იცინის ცოლი და ეფერება, ქმარი იშორებს.

„ჯიუტია, ო, რა ჯიუტია!“ — ფიქრობს ლადი და ყავარჯენს უჭერს ხელს.

— გარკვევით მითხარი რატომ მიჯავრდები? — ცოლი წარბშეკრული მისჩერებია.

— ,,რამდენი ვიციკვე... რა კარგად ცეკვავს ის ყმაწვილი!“ ჰო, კარგად ცეკვავს! მეტს არაფერს არ აკეთებს და იმიტომ ცეკვავს კარგად... სხვა რისი გამკეთებელია უსაქმური... შენისთანას თუ მოეწონება, თორემ...

— შური გალაპარაკებს ყველანი ერთნაირები ხართ, ერთმანეთის გშურთ.

— რატომ გამწარდი? იქნებ შეგიყვარდა კიდეც. რაო, სიყვარული ხომ არ შემოგფიცა.

— სისულელეებს თავი დაანებე, ყველას შენი არშინით ნუ ზომავ, იქნებ შენ აუხსენი სიყვარული იმ თმაშელებილ საფრთხობელას.

— ვინ არის საფრთხობელა?

— ის, მთელი საღამო რომ არ მოშორებიხარ... ძალიან კარგადაც იცი, ვიზედაც გელაპარაკები.

— ა:... ა, ყველაფერი გასაგებია. საფრთხობელა, არა? შენს მეტი ამას, რა თქმა უნდა, ვერავინ იტყოდა... სწორედ შენა გგავს!

— სწორედაც, რომ არა მგავს!

— ოჰ, ღმერთო, რამხელა წარმოდგენა აქვს თავზე!

— შენზე მეტი, ყოველ შემთხვევაში, არა!

— თუ არ მოგწონვარ, შეგიძლია მიბრძანდე...

ლადის ყავარჯენი გაუვარდა ხელიდან, ხელი აafათურა იატაკზე, კარგახანს ვერ მიაგნო, მერე როცა მიაგნო, დაწყნარდა...

— წავალ! — თქვა ცოლმა.

— წადი...

ცოლი დაფაცურდა. კარადიდან დიდი ტყავის ჩემოდანი გამოათრია, შიგ კაბები ჩაყარა და წითელყვავილებიანი თეთრი ხალათი, მერე დაკეტა საკეტები და დაიძრა კარებისაკენ, მაგრამ, კარებთან მისულმა გადაიფიქრა.

— მე რატომ უნდა წავიდე... შენ წადი!

— წავალ! — თქვა ქმარმა და ახლა ის დაფაცურდა.

„ბავშვები არიან, ნამდვილი ბავშვები“. — გაიფიქრა ლადიმ და გაეღიმა, მერე შეამჩნია, რომ იღიმებოდა და გაუკვირდა.

ქმარმა მოაგროვა ტანსაცმელი, მერე ლოგინის ქვეშ შეძვრა და მტვრიანი ჩემოდანი გამოათრია. ცოლი ლოგინზე იჯდა გულხელდაკრეფილი და მალულად ადევნებდა თვალს, როგორ ყრიდა ტანსაცმელს ქმარი მტვრიან ჩემოდანში...

,,არ წავა, არაფრის გულისათვის არ წავა!“ — გაიფიქრა ლადიმ.

ქმარი კარებისაკენ დაიძრა.

— სად მიდიხარ? — წამოვარდა ლოგინიდან ცოლი.

— რა იყო?

— ჩემოდანი მტვრიანია... გავწმინდავ! — უთხრა მან და ჩვარს დაუწყო ძებნა ოთახში.

ჩვარი არ იყო ოთახში, ლადის კარგად ახსოვდა — სამზარეულოში გაიტანა იგი ქალმა... ჩვრის მაგივრობა გასწია სკამზე გადაკიდებულმა პირსახოცმა.

— რას იტყოდა ხალხი, მტვრიანი ჩემოდნით რომ გა'ულიყავი ქუჩაში...

— რა უნდა ეთქვათ...

— ცუდი ცოლი ჰყოლიაო.

— შენ რა შუაში ხარ.

— აბა ვინ?

— მე...

— შენ რატომ...

— იმიტომ... მომეცი!

— ოჰ, რა აუტანელი ხარ...

ხელებმა იპოვეს ერთმანეთი.

ლადიმ სარკმელი დახურა და ჩამოუშვა ჭილოფის ფარდა. მისი სარკმლის წინ სინათლე ჩაქრა...

* * *

ლადის თვალები ქონდა დახუჭული, მაგრამ არ ეძინა. ვერ გრძნობდა საკუთარი სხეულის წონას. თითქოს ოთახში დაგუბებული ჰაერი იყო იგი, მისი შემადგენელი ნაწილი. ასეთი სიმსუბუქე არასოდეს არ უგრძნია მაშინაც კი, როცა სხეული გაუნახევრეს. ლადი არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა იყო ამის მიზეზი, საერთოდ ფიქრი ზედმეტი იყო ახლა, როცა ასე გამოკვეთილად ტივტივებდნენ მასთან ერთად დიდიხნის დავიწყებული სურათები. ლადი კი საოცრად კარგად გრძნობდა თავს... უცებ მოეჩვენა, რომ მისი სარკმლის წინ აინთო ცისფერი ნათურა, მერე გამოჩნდა გოგონა. გოგონას ფიქრით სავსე თვალები ქონდა...



„ჩამოდი დაბლა.“—ანიშნა გოგონამ.

„არ ჩამოვალ!“ — განგებ გაჯიუტდა ლადი.

„ჩამოდი რა... ძალიან გთხოვ“.

„გაიღიმე და ჩამოვალ“.

გოგონამ გაიღიმა ცივი ღიმილით, ლადის გააჟრჟოლა.

„ეს იყო ძალიან დიდიხნის წინათ“ — უთხრა თავის თავს ლადიმ. ახლა ჩემი სარკმლის წინ ცისფერი ჩარჩო ნაცრისფერია, აკაციები სახურავზე არიან ასულები.

„გახსოვს, რა მოხდა მაშინ? — კითხა გოგონამ.

„არა... არ მახსოვს“.

გოგონამ გაიცინა. გოგონამ არ დაიჯერა რომ ლადის არ ახსოვდა, რა მოხდა მაშინ.

...ისინი მიჰყვებოდნენ აკაციების რიგს. გოგონამ მხარზე მიადო თავი და...

„მე... იცი რა?

„რა?“

„იცი, რა უნდა გითხრა?“

„ვიცი“.

„აბა, მითხარი“.

„მე შენ მიყვარხარ“.

„ჰო, მიყვარხარ და კიდევ... მე დედა ვიქნები...“

„რა?!“

„შვილი გვეყოლება მალე...“

მაშინ ამოვარდა ქარი და გოგონას აუფრიალა ცისფერი კაბა. ტან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა




აყრილი აკაციები ერთმანეთს გადააჭდო. პატარა ქუჩა კი თითქოს აივსო ბავშვებით.

„შვილი!“ — იძახდა ქუჩის თავი.

„შვილი!“ — იმეორებდა ქუჩის ბოლო.

„მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ“ — ფიქრობს ლადი და ისრისავს თვალებს...

გოგონა ახლა სარკმლიდან უყურებს, ეძახის, თავისკენ იზიდავს.

„წადი, გოგონა, ისე როგორც ერთხელ წახველი, მე არ გადანაშაულებ, არ გამოგვივიდა ცხოვრება და იმიტომ წახვედი... ახლა ჩემი სახლის წინ თეთრი ფარდებია...“

„ვინ ცხოვრობს ფარდების იქით?“ — იკითხა გოგონამ.

„მე და შენი ახალგაზრდობა, გოგონა...“

გოგონა გაქრა. სარკმლის სიცარიელე ამოავსო დიდმა საათმა. საათის მინაში მოჩანდა სპილოსძვლისფერი დანომრილი ბურთები...

ლადის ეძინა...

სიზმარი იყო უცნაური: მარკიორი ნიავივით დაიპარებოდა ბილიარდის მაგიდებს შორის და შემპარავი ხმით ეუბნებოდა აზარტშიშესულ მოთამაშეს:

— შენი დრო ამოიწურა...

კიამომარჯვებული მოთამაშე, რომელსაც ნაცნობი სახე ქონდა, გაკვირვებული იჩეჩავდა მხრებს.

„საათი... საათი მეგობარო“, — სისინებდა მარკიორი. მას ხან კაცის სახე ქონდა, ხან არარსებული ცხოველის.

კედელზე ჩამოკიდებული დიდი საათი ითვლიდა დროს: ტაკ... ტუკ... ტაკ... ტუკ... სპილოსძვლისფერი ბურთები მისრიალებდნენ მწვანე მაუდგადაკრულ სიბრტყეზე. მერე ზოგი ნებით, ზოგი უნებლიეთ თავს ყოფდა ბადეში და კვდებოდა.

ლადიმ იცნო მოთამაშე და საშინელი ხმით იყვირა...

საკუთარმა ხმამ გამოაფხიზლა. მთლად გაღვრილიყო ოფლად. დღის ნათელი გამოპარვოდა ჭილოფის ფარდას და ოთახს ზოლებით ხაზავდა.

ლადიმ წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ვერ მოერია დამძიმებულ სხეულს. ისეთი გრძნობა ქონდა, თითქოს მისი კანის პორები ტყვიით იყო ამოვსებული...

სამი დღე აღარ გაკარებია სარკმელს. ლოგინში იწვა ავადმყოფი და ფიქრობდა ცოლქმარზე, რომელიც ცხოვრობდა მისი სარკმლის წინ. „ბავშვები არიან, ნამდვილი ბავშვები. ძნელია როცა არ უყურებს უფროსის თვალი. უფროსი გამოცდილია, გამოცდილებმა კი კარგად იციან ბედნიერების ფასი“. — ფიქრობდა ლადი და ვერ ისვენებდა ლოგინში...

ოთახში შემოვიდა მომვლელი ქალი. იგი მოდიოდა დღეში ორჯერ, მოქონდა სადილი და ახალი გაზეთები.

— გამარჯობათ, — თქვა ქალმა.

— გამარჯობათ, ელი...

ქალს ეცვა თეთრი ხალათი, თმა ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი. ლადიმ დღეს პირველად შეამჩნია, რომ ქალს ლამაზად დავარცხნილი თმა ჰქონდა.

— რამდენი წლისა ხართ, ელი? — კითხა ლადიმ და თავად გაუკვირდა ის, რომ მომვლელ ქალს ასეთი რაღაცა კითხა.

— ორმოცდაორის... — თქვა ქალმა და გაწითლდა.

— რვა წლით ვარ თქვენზე უფროსი. — თქვა ლადიმ ისე, უხერხული სიჩუმის გასაფანტავად.

ქალმა ტყავის ჩანთაში ჩააწყო გასარეცხი ჭურჭელი და შეუდგა ოთახის ლაგებას.

— ელი...

— გისმენთ.

— თუ შეიძლება, გააღეთ სარკმელი.

— გავაღებ, ოღონდ კარგად უნდა დაიხუროთ.

— თანახმა ვარ.

ლადიმ ხელები დამალა. ქალმა საბანი გვერდებში შეუკეცა და გააღო სარკმელი.

— მე წავედი, — თქვა ქალმა, როცა დაამთავრა ოთახის დალაგება, — საღამომდის...

— საღამომდის, ელი... — გაზეპირებულივით გაიმეორა ლადიმ და თვალი სარკმლისკენ გააპარა...

ქმარი მთვრალი იყო.

ცოლი გულხელდაკრეფილი მიჯდომოდა გაშლილ სუფრას და უაზროდ იყურებოდა სადღაც.

„ელოდებოდა... ვინ იცის როგორ ელოდებოდა, ერთი სული ჰქონდა, როდის გასინჯავდა ქმარი სასოებით მომზადებულ სადილს“—ეცოდებოდა ლადის ქალი, მაგრამ ბიჭსაც არ ამტყუნებდა დიდად. — „არაფერია, ხდება ხოლმე. დალევა არ ვარგა მართალია, მაგრამ ზოგჯერ არც უიმისობა იქნება...“

— მე მივდივარ! — თქვა უცებ ცოლმა და წამოდგა.

„არა, ახლა წასვლა არ ივარგებს“.

— ვერსად ვერ წახვალ... — თქვა ქმარმა და წაეპოტინა.

— არა, შენ გიყურებ სწორედ!.. სარკეში მაინც ჩაიხედე, რას გავხარ.

— არ მოგწონვარ? — გაიცინა ქმარმა და მკლავზე მოკიდა ხელი.

— გამიშვი!

— არ გაგიშვებ.

— გამიშვი მეთქი!

ქმარმა უფრო მაგრად მოუჭირა ხელი.

— ვიკივლებ!

— იკივლე!

ქალმა შეკივლა...

მოხდა ის, რისიც ყველაზე უფრო ეშინოდა ლადის — ქმარმა სილა გააწნა ცოლს და ტახტზე მიანარცხა.

ლადიმ იდაყვით მინა ჩაამსხვრია და თავი ხელებში დამალა.

ოთახში სიწყნარე გამეფდა. ქმარი შუა ოთახში იდგა გამოფხიზლებული და გაოგნებული. ცოლი ტახტზე მოკეცილი ხმას არ იღებდა.,..

„მოეფერე... იქნებ გაპატიოს... მოეფერე!“ — ფიქრობდა ლადი.

ქმარი უცებ კარებს ეცა და გარეთ გავარდა.

— დაბრუნდი! — იყვირა ლადიმ. მისი ხმა ოთახის კედლებმა შთანთქა, ბიჭი კი უკვე ქუჩაში იყო და დიდი ნაბიჯებით მიდიოდა სადღაც.

„არა, არ შეიძლება განმეორდეს, ორჯერ ერთი დი იგივე!“ — ლადიმ ყავარჯნებს სტაცა ხელი.

ცოტახნის შემდეგ ისიც ქუჩაში იყო. თანდათან მცირდებოდა მანძილი მათ შორის.

— დაბრუნდი! გესმის, დაბრუნდი!

ბიჭს არ ესმოდა.

„პატარა ქუჩის დასასრულს დიდი ქუჩაა. დიდი ქუჩა სავსეა მანქანებით“. — ფიქრობდა ლადი და გამეტებით იქნევდა ყავარჯნებს. ერთხელ, ეს იყო დიდი ხნის წინათ, ლადიც მიჰყვებოდა პატარა ქუჩას ტვინარეული, არავის გაუჩერებია ის. თავად კი ვერ შეამჩნია, როგორ გათავდა პატარა ქუჩა... სატვირთო მანქანას უზარმაზარი თვლები ჰქონდა.

— მოიცადე! — იყვირა ლადიმ და ბიჭს მხარში სტაცა ხელი.

ბიჭი გაჩერდა, იგი დაბნეული მისჩერებოდა ხეიბარს, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა.

— მე... თქვენი მეზობელი ვარ, — თქვა მან და შუბლზე მომდგარი ოფლი მოიწმინდა.

— მეზობელი... — გაიმეორა ბიჭმა და თითებს დაუწყო სრესა.

ლადიმ ცას შეხედა.

— მოიღრუბლა... იქნებ გაავდრდეს, თორემ დაიხუთა ყველაფერი.

— ჰო, დაიხუთა.

ჭექა-ქუხილმა წამით შეარყია დედამიწა. წვიმის პირველი წვეთი დაეცა ქუჩას.

— წავიდეთ, თორემ დავსველდებით, — თქვა ლადიმ და პირი სახლისკენ იბრუნა.

ბიჭი გაჰყვა...

ბარაქიანად წვიმს.

სარკმელთან ზის ლადი და უყურებს, როგორ რეცხავს წვიმა პატარა ქუჩას. მისი სარკმლის წინ, თეთრი ფარდების ფონზე ციმციმებენ ლანდები...

მალე ესტუმრება პატარა ქუჩას ნანატრი საღამო.

საღამოს მოვა მომვლელი ქალი, მას ეცმება თეთრი ხალათი და ექნება ლამაზად დავარცხნილი თმა. ქალი მოიტანს საჭმელს და ახალ გაზეთებს. ლადის არ შია, არც კითხვის თავი აქვს, მაგრამ მაინც ეჩქარება საღამო.

გარეთ წვიმისაგან გაწუწული ცისფერი და თეთრი აკაციები ერთმანეთს ეფერებიან...

რიმა კაზაკოვა

# ახალ-წლის ღამეს



ქუჩა, თოვლი და მთაჯარი ფოსტა...
თვითონ ტაძარი—ფოსტა კი არა...
ო, ღმერთო ჩემო, ის... ფიქრობს ჩემზე?
ნუთუ სიხარულს დამიგვიანებს?
მაღალი ცაა... ეს ვარსკვლავები
სულწასულობას ხომ არ მწამებენ?
თოვლის და ნაძვის ნაზი სუნია
და საახალწლო ტელეგრამების...
სიხარულია ღია სარკმელთან...
სიხარულია სხვათა და სხვათა...
მე? სიხარული ჩემი? რა იქნა?
მშვიდი ღიმილი მპასუხობს მათი...
ესეც სხვისია, სხვისი დეპეშა...
ჩემი თვალები შენსას ელიან...
ვიკითხო? დიახ, გთხოვთ,მიპასუხოთ,
ჩემს სახელზე კი არაფერია?
მაგრამ... ბოდიში, მე არ ვიკითხავ...
რას ვიტანჯები, რა მრჯის ნეტავი?
ხომ შემიძლია, უკან გავბრუნდე,
გავიქცე უკანმოუხედავად?
მე ჯიუტი ვარ, მე შევძლებ ამას...
თავს მოვიტყუებ (რა მოხდა მერე?),
რომ... უკვე მომცეს შენი დეპეშა...
მე დავიჯერებ. მე უკვე მჯერა!
ჩვენ საახალწლო სუფრას მოვუსხდეთ,
ჰეი, ძმობილნო, ჰეი, დობილნო!
. . . . . . . . . . . . . . . . .
—მან... მოგილოცა ახალი წელი?
—არა, ფოსტაში ჯერ არ ვყოფილვარ!

თარგმანი ანა ქალანდაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხვანჭკარის მარკით





რაჭაში, მთის კალთებზე შეფენილი, ბევრი ლამაზი სოფელია, წიწვნარითა და ბაღ-ვენახებით დამშვენებული. ყველა სოფელი თითქოს ერთმანეთს ჰგავს და მაინც ერთი სოფელი მეორეზე უკეთესი გეჩვენება. ასეა ხვანჭკარაც. გგონია, რომ სხვა სოფლებში ის მარგალიტივით გამოირჩევა...

ძველი დროიდან განთქმულია ხვანჭკარის ღვინო. წინათ იგი ყიფიანის ღვინის სახელწოდებით იყო ცნობილი. ყიფიანის ღვინის მარკით მიიღო მან საფრანგეთში ოქროს მედალი...

ჭრებალოდან რიცეულამდე გადაჭიმული ზვრები როსტომ ყიფიანისა იყო. ყიფიანის მარანში ჩაყრილ ქვევრებშიც სხვისი ოფლით მოწეული მაჭარი დუღდა.

შემდეგ, როცა რაჭაში მიწას გლეხობა დაეპატრონა და მიწამაც ახეირა მშრომელი ადამიანი, როცა იქაურებმა გაიგეს, რა შესძლებია კოლექტიურ შრომას, ქალები კოლმეურნეობებში გავიდნენ და ისეთი ხალისით მოედვნენ ვენახებს, რომ მათი ხელით მოვლილმა ვაზმა საოცარი ნაყოფი მოისხა. დედებიდან ქალიშვილებს გადაეცათ შრომის ასეთი სიყვარული. და ეს ქალიშვილებია დღეს, რომ შრომის გმირებს უძახიან ხვანჭკარაში, წესში, მუხლში.

ქეთინო მეტონიძემ წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და საკოლმეურნეო ყანებსა და ვენახების ზვრებს მიაშურა. უჭირდა კოლმეურნეობას,—მთებსა და რიონის ხეობაში 65 ჰექტარზე გადაჭიმული ვაზი „ალექსანდრეული“ დიდ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. „ვიშრომებ და დაუსწრებლად მივიღებ უმაღლეს განათლებასო“ — ფიქრობდა ქეთინო. ვენახში დღეში ხუთჯერ მაინც შევიდოდა, ფოთლებზე რაიმე საეჭვო წერტილიც რომ შეემჩნია, მაშინვე გოგირდს შეაფრქვევდა, ზედმეტ ნამხრევებს აცლიდა, წელიწადში ხუთჯერ მაინც წამლავდა, ნაკელი დროულად შეჰქონდა. მისი ნაკვეთი ბრიგადირ ამბროსი სარიდანიშვილის ნაკვეთის გვერდით იყო. წინათ თუ გამვლელს ამბროსის ნაკვეთზე რჩებოდა თვალი, ახლა ქეთინოს ვენახსაც ვერ ჩაუვლიდნენ გულგრილად. ჩუმად, გულში ეჯიბრებოდა ქეთინო ბრიგადირს, ეჯიბრებოდა და არც ჩამორჩებოდა. ამბროსის უხაროდა, რომ ქალიშვილი საქმით დაინტერესებული იყო და ერთ დღეს თავისი განზრახვა ქეთინოს გაუმხილა:

— ქეთოუკა, ჩვენმა ბრიგადამ რომ კომუნისტური შრომის საპატიო წოდებისათვის იბრძოლოს, შენ რას იტყოდი?

— უი, მე რა შემიძლია! — შეიცხადა ქალიშვილმა.

— შენ, ისეთი გოგუნა ხარ, ვიცი არ შემარცხვენ, — დამაჯერებლად თქვა ამბროსიმ და წავიდა, იცოდა ქალიშვილს საქმესთან ხუმრობა არ უყვარდა.

ქეთინომ ჯერ თანაკლასელებს წასჩურჩულა საიდუმლო, თანაკლასელებს, რომლებიც მასთან ერთად მოვიდნენ კოლმეურნეობაში, მერე ბრიგადის სხვა წევრებს გააგებინა, პატარა თათბირიც კი ჰქონდათ, თუ რა ღონისძიება უნდა განეხორციელებინათ. როცა ქორწილისა და ლხინის დღეები დადგა, როცა ოქროსფერმა მოიცვა ბაღ-ვენახები, მოლოდინმა ყველაფერს გადააჭარბა და პირველად ამ ბრიგადას მი-

ენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი.

ახლა ქალიშვილმა ვალდებულების გადიდებაზე დაიწყო ფიქრი, ამხანაგებს ეს აზრიც გაუზიარა და რგოლებს შორის შეჯიბრება გაჩაღდა.

ინათებს თუ არა, ქეთინოს რგოლის წევრები ჟრიამულით დაეშვებიან ნაკვეთისაკენ, თავიანთ საქმეს რომ მორჩებიან, მერე სხვას ეხმარებიან შრომაში.

— რას იტყვი, გოგუნა, დღეს შენი ნადი ვიქნებით, — ეტყვიან და მხარში ამოუდგებიან. ვაჟკაცურად აწვებიან ბარს ფეხით და კოხტად გადაბრუნებულ მიწის ბელტს ბელტზე აწყობენ. როცა ვაზის ახვევას იწყებენ, ქეთინო გამუდმებით აფრთხილებს მეგობრებს:

— საწინაო ლერწი არ დააზიანოთ!

— კვირტები არ ჩამოყაროთ!

მოფრთხილება უნდა ვენახს, რომ კარგი მოსავალი მოვიდეს.

შარშან კვლავ ისახელა თავი მეორე ბრიგადამ. მარტო ქეთინომ ათას ძირ ვენახზე 12 ცენტნერის ნაცვლად 15 ცენტნერი ყურძენი მიიღო. იმატა კოლმეურნეობის შემოსავალმა. გაშენდა და აყვავდა სოფელი ხვანჭკარა. კოხტა ოდებმა დაამშვენა ეზოები. აშენდა კოლმეურნეობის ორსართულიანი კანტორა, კლუბი, საექიმო პუნქტი, რვაწლიანი სკოლა. ასოთხმოცი ბავშვი სწავლობს ახლა აქ. ღონიერი სოფლები—ხვანჭკარა, ტოლა, ჭვიში, ჭრებალო — მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს. ჭრებალოში ააგეს საავადმყოფო, სკოლა-ინტერნატი, საშუალო სკოლა. წინათ თუ სოფელში თითო-ოროლა კაცი გამოჩნდებოდა, ახლა უამრავი ვაჟკაცის მარჯვენა ტრიალებს. გაიკაფა ეკალბარდიანი ფერდობები, მწკრივში დაირაზმა გიშრისთვალება ვაზი.

—1000 ძირ ვენახზე საშუალოდ 18 ცენტნერი ყურძენი უნდა ჩავაბაროთ — ასე გადაწყვიტა წელს ქეთინომ და მეგობრებიც მხარდამხარ მიჰყვებიან. ახლა რგოლებს შორის შეჯიბრებით არ დაკმაყოფილდნენ და მეორე ბრიგადამ მესამე ბრიგადა გამოიწვია შეჯიბრებაში...

ამბროლაურის რაიონში ყველა იცნობს მევენახე თამარ მეტონიძეს. მესამე ბრიგადის თვალიაო, — ასე ამბობენ მასზე. მას წლების მანძილზე ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცრემლში იჯდა უმამაკაცოდ დარჩენილი სოფელი, როცა ახლადდაქორწინებულმა თამარმა ფრონტზე გააცილა ქმარი, მას კოლმეურნეობაში 0,2 ჰექტარი ვაზი ებარა, ხოლო 500 ძირ ვაზს საკარმიდამო ნაკვეთზე უვლიდა. პატარძალი ვაჟკაცურად წამოიკიდებდა ბორდოს სითხით სავსე მანქანას ზურგზე. ნაბიჯ-ნაბიჯ უვლიდა გარს თითოეულ ძირ ვაზს, მაგრამ დაღლა რა იყო, არ იცოდა. 12-13 ცენტნერზე ნაკლები ყურძენი არასოდეს არ მიუტანია კოლმეურნეობის მარანში. მერე, როცა შინ მშვიდობით დაბრუნდნენ წასულები და წელში გასწორდა სოფელი, როცა ორდენებით მკერდდამშვენებული ქმარი დაუბრუნდა, თამარის მოყვანილმა ყურძენმა 18 ცენტნერს მიაღწია.

წელს, როცა ხმა დაირხა სოფელში — მეორე ბრიგადა გვიწვევს შეჯიბრებაშიო, დაფაცურდა გამოცდილი მევენახე.

— სულიც ამომძრობია თუ 20 ცენტნერი ყურძენი არ მოვიწიო, — უთხრა ქალებს.

წელს, მიუხედავად იმისა, რომ ყურძნის მოსავლისათვის არახელსაყრელი ამინდებია, ხვანჭკარას მაინც ვერაფერი დააკლო უამინდობამ. ხედავდა ამბროლაურის რაიონის სამტრესტის ხვანჭკარის ქარხნის დირექტორი ბორის ფრუიძე, მოსავალს ვერ დაიტევდა მარანი, ამიტომ უფროს მეღვინესთან, გელა ყიფიანთან მოითათბირა, შენობის მომატება გადაწყვიტეს.

დაიწყეს მუშაობა ხელოსნებმა, აკაკუნდა ჩაქუჩები, ახმაურდა ხელეჩოები. აგური, ცემენტი, კირი, ლურსმანი, ფიცარი სწრაფად გადადიოდა ხელიდან ხელში. ირეცხებოდა კასრები, ქვევრები. ამოწმებდნენ მანქანებს, დღე და ღამეს ასწორებდნენ ბორისი და გელა და როცა ყველაფერი მზად იყო, ყურძნით დატვირთული პირველი მანქანა მოადგა ქარხანას, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

დიდ სასწორზე ეშვება გოდრები. გელა იქვე ტრიალებს, არჩევს მტევნებს და ლაბორატორიაში გზავნის შაქრიანობის შესამოწმებლად. მერე ყურძენი ბუნკერში გადადის, ბუნკერიდან — ეგრატუმბოში და მოჩუხჩუხებს ლალისფერი ღვინო. ისევ მოდიან მანქანები, მოაქვთ გეგმის გადამეტებით მოკრეფილი ყურძენი. მარტო ხვანჭკარელებმა კი არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით, სხვა სოფლებმაც ისახელეს თავი. თუნდაც სოფელი წესი ავიღოთ.

მთის ფერდობზეა შეფენილი ეს სოფელი. გზებზე კაკლის ხეები გადმომდგარან და ქოლგებივით გაუშლიათ ტოტები. ამ ხეებთან მანქანამ ჩაიარა და კოლმეურნეობის კანტორასთან გაჩერდა. მანქანიდან ამბროლაურის რაიონის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი გადმოვიდა. კრებისთვის რომ ხელი არ შეეშალა, ფრთხილად შეაღო კარები. მისი მოსვლა მაინც ყველამ შენიშნა; შეიშმუშნენ. თუმცა მდივანი ხშირი სტუმარი იყო მათი — ხან ფერმაში ხვდებოდნენ, ხან ყანაში და ხან ვენახში, მაგრამ ახლა მისი გამოჩენა რატომღაც საინტერესო ამბის მომასწავებლად ჩათვალეს. ბევრი რამ ითქვა იმ საღამოს. დაისახა ამოცანები მუშაობის გასაუმჯობესებლად, ვალდებულების გასაზრდელად. სახეწამოწითლებული იზოლდა მელაშვილი ჩუმად იჯდა, ყურს უგდებდა სიტყვით გამოსულებს.



იზოლდა მელაშვილი

— ახლა რას გვეტყვის იზოლდა! — გაისმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხმა და ქალიშვილი ადგილიდან წამოიჭრა. მაგრამ მოულოდნელობით გამოწვეული აღელვება მალე დაძლია და კრების მონაწილეებს თავისი გეგმები დამშვიდებით გაანდო:

— პირობას ვიძლევი ჩემი რგოლის წევრებთან ერთად ჰექტარზე 50 ცენტნერი ყურძენი ჩავაბარო და ფუტკრის თითო ოჯახიდან 20 კილოგრამი თაფლი მივიღო, — განაცხადა იზოლდამ.



საკოლმეურნეო საფუტკრე

იმ დღიდან სულ შეიცვალა იზოლდას ცხოვრება. დღეები ეპატარავებოდა ქალიშვილს. მისი ნაკვეთი ჭალაახალშენშია და სანამ იქამდე მივა, დიდი გზა უნდა გაიაროს ფეხით. ჯერ კიდევ გათენებას ბევრი აკლია, ლოგინიდან რომ წამოხტება. ინათებს და უკვე ვენახშია. იქ საქმეს მოათავებს თუ არა, ახლა ფუტკრის ოჯახებს მიაკითხავს. ფუტკრის ას ოჯახს უვლის ივი. საგაზაფხულო მთავარი ხილვის დროს პირველ რიგში ამოწმებს ფუტკრის ოჯახის სიმძლავრეს, დედა ფუტკრის არსებობას და მის ავკარგიანობას, ბარტყების რაოდენობას, თაფლის რაოდენობას და ხარისხს, ფუტკრის ბუდეს და ფუტკრის ჯანმრთელობას. მერე პუფთავებს ბუდეებს. სკიდან ამოღებულ ნაგავს უსათუოდ მიწაში დამარხავს, რადგან იცის, თუ ფუტკარმა ქურდობა დაიწყო, მუშაობა უნდა შეაჩეროს. უდედო ოჯახს დიდი სიფრთხილით უერთებს დედიან ოჯახს, სუსტ ოჯახს კი—ძლიერს.



ქეთევან მეტონიძე



თამარ მეტონიძე

მოწინავე ქალიშვილი რაიონის მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. მილიონმა ადამიანმა გაიგო მისი სახელი. საიდან არ მოდიოდა მილოცვის დეპეშები, ბარათები. ფოსტალიონი ქაქანით შემოაღებდა ჭიშკარს, ქალიშვილს ბარათების დასტას გადასცემდა და ეტყოდა:

— ქვე შენი ჭირიმე, ქვე შენისთანა გოგუნები ღმერთმა ამრავლოს წესში.

წესში კი ბევრია იზოლდასთანა მოწინავენი.

— ეთერ, ციალა, აგრაფინა, ანა, სოფიო მელაშვილები, ნინო, მარო ჯაგნიძეები და სხვები. ისინი იზოლდას რგოლის წევრები არიან. 3,5 ჰექტარი ვენახია მათზე გაპიროვნებული და ვალდებულება აიღეს წელს ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი ჩაებარებიათ სახელმწიფოსათვის.

დათქვეს და თითქოს ბუნება გაეჯიბრა ქალებს. მზე მთის იქით მიიმალა, ცამ პირი მოიხსნა. წვიმა არც ვენახს უყვარს და არც ფუტკარს.

ღამეები არ ეძინა იზოლდას, არ ეძინათ რგოლის წევრებსაც. არ ეძინა მთელ ბრიგადას. მზე გამოჩნდებოდა და ტალახში ამოლუმპულები, ნაკვეთში გაჩნდებოდნენ.

— ჩქარა, ბორდოს სითხე მოვამზადოთ.

— კირი გახსენით წყალში.

— არიქა, შეწამვლა დავიწყოთ, იქნებ მზის ჩასვლამდე შეშრობა მოასწროს ფოთლებმა.

ვაზში ჩაყრილმა შრომამ მოლოდინი არ გაუმტყუნა წესელებს. ყურძნით დატვირთული მანქანები გაეშურნენ ღვინის ქარხნისაკენ...

მალე შარბათივით ტკბილი ლალისფერი ღვინო, დადუღდება, დაიწმინდება და ხვანჭკარის მარკით გაიგზავნება ყოველი კუთხით— ჩვენში და უცხოეთში.



ოლია რევია

# სიცოცხლის სათავეებთან



სახელმწიფო თეატრის სცენაზე მიდის სპექტაკლი. განაბულ დარბაზში შემოდის ვიღაც და გულმოდგინედ ათვალიერებს პირველ რიგებს, იხრება ერთერთი მაყურებლის ყურთან და... ორივე სტოვებს დარბაზს. დარბაზში არ არის არავითარი ცვლილება. ხოლო ვინც შეამჩნევს გასულს, გაიფიქრებს: ქეთო ქავთარაძე გაიყვანეს, ვიღაცას უჭირს...

ოცდაათი წლის წინათ თელავში გამოჩნდა პირველი გინეკოლოგი და ეს იყო ქეთევან ქავთარაძე.

ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა მაშინ ახალგაზრდა სპეციალისტს, განსაკუთრებით მძიმე იყო ბრძოლა ექიმბაშებთან... მაგრამ ქეთევანმა ავადმყოფებისადმი უანგარო ყურადღებით, განსაკუთრებით კი თავისი უსაზღვრო ენერგიით მალე კარგი ექიმის სახელი და ყველას სიყვარული მოიხვეჭა.

მიდიან თელავის სამშობიარო სახლიდან ბედნიერი დედები და არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან მოდის მადლობის ბარათები მთავარი ექიმის — ქავთარაძის სახელზე. ლენინგრადიდან იწერება ელენცევა, მოსკოვიდან ხრომოვა, თბილისიდან გაფრინდაშვილი...

ბევრი ქალი კი მხოლოდ ქეთევანის გულმოდგინე მკურნალობის შედეგად გახდა დედა.

ქეთევანი საოპერაციოში ზოგჯერ გულისტკივილით შედის. გული სტკივა, რომ მასთან ქალები ყოველთვის დედობის სურვილით არ მოდიან. ხშირად გაიგონებთ მისგან:

— რაა ერთი და ორი შვილი? რამდენი ჰყავდა დედაშენს, დიდედას?..

ქეთევანი ურჩევს საოპერაციოდ მოსულთ, იფიქრონ სამსა და მეტ შვილზე.

ალბათ დედისადმი სიყვარულმა მიიყვანა ქეთევანის ვაჟი თამაზი სამედიცინო ინსტიტუტში. ქეთევანს ხელში სურათი უჭირავს. სურათზე მისი მეუღლეა პატარა თამაზთან ერთად. დაღუპული ქმრის მოგონებაზე ქეთევანს თვალები სევდით ევსება და წყნარად ამბობს:

— ქერჩი...

ქეთევანის ბინაზე ტელეფონი რეკავს. სამშობიარო სახლია. ახლა ქეთევანს ველარაფერი დააკავებს. წასასვლელად ემზადება. გარეთ გასული, ისევ ბრუნდება. სამზარეულოსაკენ გარბის და რაღაც შეხვეული გამოაქვს.

ერთმა დედამ დილას მჭადი და მხალი ინატრა...

იმერეთში ფეხდადგმულ ქეთევანს, სიამოვნებს ამ სურვილის შესრულება.

აი, რას ამბობს ერთერთი ავადმყოფი ქეთევანზე: „ვუყურებ მას და ვფიქრობ: სძინავს ამ ადამიანს მშვიდად? ან კი საერთოდ სძინავს როდისმე? ვამჩნევ მის სახეზე ხაზებს, — შრომისა და წელთა სვლის ულმობელ კვალს“.

ქეთევანი ხომ ყველასათვის გაზაფხულის მახარობელია, ის ხომ მუდამ სიცოცხლის სათავეებთან დგას. ნურც მას დაზამთრებოდეს!

**ანა იმედაძე**

**ო. ბუცენი**

# ახლავე

ყურს მოჰკრავს თუ არა მარინა რომელიმე უცნობ სიტყვას, აუცილებლად იკითხავს რას ნიშნავსო. ერთი სიტყვის მნიშვნელობას რატომღაც არ კითხულობს, მაგრამ არც მის ცოდნას ამჟღავნებს.

ამ სიტყვას ყოველდღე ვხმარობთ, თანაც სულ უბრალო სიტყვაა „ახლავე“.

უცნაურია არა? და აი, სწორედ ამ სიტყვის გამო მოხდა ეს ამბავი.

კვირადღე იყო. მარინამ ადრე გაიღვიძა, გაჭირვებით ჩაიცვა და თოჯინებთან თამაში დაიწყო. დედამ დაუძახა: —მარინა, ჯერ პირი დაიბანე, საწოლი გაასწორე და მერე ითამაშეო.

— ახლავე, დედიკო — უპასუხა მარინამ და თამაში განაგრძო. დედამ თხოვნა გაუმეორა.

— ახლავე,ახლავეო — იმეორებდა მარინა და თამაშს მაინც არ ანებებდა თავს. ალბათ, სიტყვის მნიშვნელობა არ ესმისო, გაიფიქრა დედამ და გადაწყვიტა გაეგო მართლა ასე იყო თუ არა.

— მარინა, — უთხრა დედამ, — დღეს ზოოპარკში წავიდეთ.

მარინამ სიხარულისაგან ტაში შემოჰკრა.

— ო, რა კარგია, დედიკო, ჩქარა ვისაუზმოთ და წავიდეთ.

— ახლავე, — უთხრა დედამ და აუჩქარებლად სამზარეულოში გავიდა. მარინაც შევარდა სამზარეულოში, დედას კაბის გაუთოვებას და ბანტის გაკეთებას სთხოვდა, თან წარა-მარა უმეორებდა:

— მალე, მალე ვისაუზმოთო.

— ახლავე, — პასუხობდა დედა, საქმეს კი სულ არ აჩქარებდა. მარინა მოთმინებიდან გამოვიდა, გაბრაზდა და ტირილი მორთო.

— რა გატირებს? — ჰკითხა დედამ.

— რამდენი ხანია გეხვეწები, მალე ვისაუზმოთ და წავიდეთ-მეთქი, შენ მეუბნები ახლავეო და კი არ მოდიხარ.

— მე მითხრეს, რომ „ახლავეს“ ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც „მერეს“, „ცოტა ხნის შემდეგ“ და „ჯერ არას“.

— ვინ გითხრა? — გაუკვირდა მარინას.

— ვინ მითხრა და შენმა გაუსწორებელმა საწოლმა, მიყრილ-მოყრილმა სათამაშოებმა და გუშინდელმა არეულმა წიგნებმა.

მარინამ ოთახში მიმოიხედა, ცრემლები მოიწმინდა და თქვა:

— ახლავე, დედიკო, ახლავე ყველაფერს დავალაგებ.

სულ მალე ოთახში წესრიგი იყო. ასე გამოირკვა, რომ მარინას თურმე მშვენივრად სცოდნია რას ნიშნავდა სიტყვა „ახლავე“.

გერმანულიდან თარგმნა **დალი ბუჩუკურიშა**



შუაღამისას ქარმა მოიტანა ზარის ხმა. ის ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა. ოთახში ბნელოდა და ამის გამო ზარს უფრო მშფოთვარე და დაჟინებული ხმა ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ.

ჯერაც ბურანში მყოფმა, ხელების ფათურით მოძებნა ხალათი, წამოდგა და შუქის აუნთებლად ჩაცმა დაიწყო. ცდილობდა არ ეხმაურა. სიბნელეში ხელებგაწვდილი, ფრთხილად უვლიდა გვერდს მაგიდას და სკამებს.

რეზინის წამოსასხამი კარს უკან ეკიდა. მაღალყელიანი რეზინის ჩექმებიც იქვე ეწყო. წასასვლელად გამზადებულმა, ერთხელ კიდევ შეიხედა მეორე ოთახში. ბავშვებს ეძინათ.

— ბრიგადირო, ბრიგადირო! — აყვირდა ვიღაც გარეთ. თინამ კარი გამოაღო. კაცს მაღლა აეწია ანთებული ფანარი და თოვლზე წვებოდა მისი უზარმაზარი ჩრდილი. ფანრის შუქზე დიდი თეთრი ფანტელები ირეოდნენ.

— დიდთოვლობაა, ბრიგადირო!

კარი გამოკეტა და კიბე ჩაირბინა.

მეზობელ სახლებში ნათდებოდა ფანჯრები, იღებოდა კარები და მოსასხამებში გახვეული ლანდები გარბოდნენ ქვევით.

სადღაც შორს ვიღაცა ეძახდა ვიღაცას. ანთებული ფანრები შორიდან ჰგავდა ციცინათელებს. ისინი ციმციმებდნენ ბნელში, მიირხეოდნენ ზევით, ქვევით, ყველგან ირგვლივ.

პლანტაციაში რამდენიმე მუშა დაუხვდა. თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვნენ სხვებიც.

ლიმონის ბუჩქებზე თოვლი თითქმის მტკაველის სისქეზე იდო. ადამიანების ბეჭები, მკლავები თეთრად დაეფარა თოვლს.

მალე მთელმა ბრიგადამ მოიყარა თავი. მუშაობა დაიწყო. ფანრით ხელში. ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიოდნენ მუშები, ფერთხავდნენ ლიმონის, ფორთოხლის და მანდარინის ბუჩქებს. ხეები სიმძიმისგან თავისუფლდებოდნენ და ისევ ლაღად შლიდნენ ტოტებს.

თოვლმა აღარ გადაიღო. მთელი ღამე გადაბმული ფერხული ჰქონდათ გამართული უზარმაზარ, ფაფულა ფანტელებს. მთელი ღამე ფერთხავდნენ თოვლს მუშები. ცოტას შეისვენებდნენ და ისევ ფერთხავდნენ.

თოვა მხოლოდ დილით შეწყდა. არცერთ ბუჩქს არ დამტვრევია ტოტები. ბრიგადირი სახლისკენ წამოვიდა, დაღლილი და კმაყოფილი.

კანტორასთან მეურნეობის დირექტორი დაინახა, მთავარ აგრონომს ელაპარაკებოდა რაღაცას. თინას რომ თვალი მოჰკრა, შემობრუნდა და დაუძახა:

— როგორაა საქმე, ბრიგადირო. მიიღე ნათლობა? — პასუხს აღარ დაუცადა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

თინამ თვალი გააყოლა.

კონსტანტინე გერიასაც არ სძინებია მთელი ღამე, მაგრამ ნაბიჯი ახლაც მხნე და ახალგაზრდული ჰქონდა. რა დაღლილიც არ უნდა იყოს, ის ყოველთვის ასე გამოიყურება. ყოველთვის ასე მხნე, დაუოკებელი და მოუსვენარია — დადის, ლაპარაკობს, თუ ზის. როცა ის რაიმეს გიამბობს ან გისმენს, გრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ეს წამია ჩაიმუხლა და რაღაც მოზღვავებული ენერგია არ აძლევს საშუალებას, ცოტა მეტ ხანს იჯდეს, გისმინოს და გესაუბროს.

მაგრამ თინას ახსოვს — მან მოსმენაც იცის.

* * *

...სულ რამდენიმე თვის წინ თინა მის კაბინეტში იჯდა და ხელები უკანკალებდა. მას რცხვენოდა იმის, რომ თავისი ცხოვრების ამბავს უამბობდა ამ სრულიად უცხო კაცს, რცხვენოდა, რომ ხელები უკანკალებდა და ეს კანკალი ვერაფრით დაეოკებინა.

დირექტორი მაგიდასთან იჯდა და უსმენდა. მის მზერაში სიბრალულს არ ხედავდა თინა. სწორედ ამან შეაძლებინა ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

კონსტანტინე გერია წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ბოლოს თინას წინ გაჩერდა:

— მერე და რამ შეგაშინა? დიდი საქმე — სამი ბავშვი! ქალი აგრონომი ხარ და სამი ბავშვის გაზრდამ შეგაშინა? კარგი გიქნია, ჩვენთან რომ ჩამოსულხარ. აქ ბაღიც გვაქვს და ბაგაც. ბინის საკითხი ვერაა მთლად მოწესრიგებული, მაგრამ ესეც მალე იქნება. ჯერჯერობით კი, ბავშვებიანად ჩვენს სასტუმროში მოგაწყობთ...

ოთახში ქალალდებით ხელში შემოდიოდნენ და გადიოდნენ ადამიანები. დირექტორი ეკამათებოდა, ეხუმრებოდა, აქეზებდა, ზოგჯერ უყვიროდა კიდეც. თინას მალი-მალ გადმოხედავდა. როგორც განთავისუფლდებოდა, ისევ შეწყვეტილ საუბარს მიუბრუნდებოდა.

იმ საუბარს არასოდეს დაივიწყებს თინა. დარდისაგან მოხრილ ბეჭებს უზარმაზარი სიმძიმე მოსცილდა. დირექტორის ოთახიდან გამართული და თავაწეული გამოვიდა.

რამდენიმე დღეში ბავშვებიანად გულრიფშში გადმოსახლდა. ჯერ სასტუმროში მოეწყო, მერე ოროთახიანი ბინა მისცეს. აგრონომის ადგილი ილიჩის სახელობის მეურნეობაში არ იყო. ბრიგადირ-აგროტექნიკოსად დაიწყო მუშაობა.

...ჯერ პირველი ბრიგადის ხელმძღვანელობა დააკისრეს თინას. კარგი ბრიგადა შეხვდა. ყველა მის შენიშვნას გულისყურით იღებდნენ. რაკი მის თავდაუზოგავობას ხედავდნენ, აღარც თვითონ იზოგავდნენ თავს. შარშანწინ პირველმა ბრიგადამ გარდამავალი დროშა მიიღო გეგმის დიდი გადამეტებისათვის. ამიტომ მოსკოვში გამოფენაზე გაგზავნეს ბრიგადირი თინა ესართია და მუშა ქალი ანა სიდორენკო. შარშანდელი მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღალი იყო. გეგმით გათვალისწინებული შვიდასი ტონა მანდარინის ნაცვლად მეურნეობამ ათას ოცდახუთი ტონა მიიღო; შვიდასი ათასი ცალი ლიმონის ნაცვლად — მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი ცალი, ორმოცდაშვიდი ტონა ფორთოხალი ჩააბარეს ოცდახუთი ტონის მაგივრად, ასრვა ტონა ყურძენი—ნაცვლად ოთხმოცისა.

ამ მიღწევებში პირველ რიგში თინა ესართიას ბრიგადას ედო წილი. ოთხას ორმოცდაათი ტონა ციტრუსი უნდა ჩაებარებინა პირველ ბრიგადას. შვიდასი ტონა ჩააბარა — ორას ორმოცდაათი ტონით მეტი.

როგორ არ ემაყნა ბრიგადირს, თუ ოჩამჩირის რაიონში მოწინავე ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობა იყო, მეურნეობის ბრიგადებში კი ყველაზე მოწინავე — მისი ბრიგადა!

* * *

ამ გაზაფხულზე კონსტანტინე გერიამ მიიხმო თავისთან თინა. ლაპარაკი მეორე ბრიგადის ჩამორჩენაზე ჩამოუგდო. ჯერ გაკვრით ახსენა—მაგ ბრიგადას კარგი ხელმძღვანელის ხელი აკლიაო. თინა მიხვდა, რა მოჰყვებოდა ამ ლაპარაკს და აღარ გაუკვირდა, როცა დირექტორმა იმ ბრიგადაში გადასვლა შესთავაზა.

როგორ შეეძლო უარი ეთქვა? თანაც ვისთვის? ჰოდა, იმ დღიდან მეორე ბრიგადას მეთაურობს თინა ესართია. 28 ჰექტარი მარტო ციტრუსების ბაღი აქვთ მოსავლელი, 7 ჰექტარი — ხეხილი, ბოსტანი — 1 ჰექტარი, თითქმის ამდენივე — ფეიჰოა.

ჩაუმუხლავად მუშაობს მეორე ბრიგადა. ან რა გული მოგცემს არ იმუშაო, როცა ხედავ: ბუნებას თავისი კალთა აქ რა გულუხვად დაუბერტყია. თუ უკულმა დავარდნილი მარცვალი აქ წაღმა ამოდის, და რაც ამოდის, ხარობს თავაწყვეტით, გადარევით.

ნაყოფის სიმძიმით ხეხილს ტოტები ატყდება, გვიმრა რაა, გზის პირებზე გვიმრა კაცის სიმაღლეზე იზრდება და მინდორში ამოსულ

ციტრუსების, ლიმონის ფოთოლს მიუგავს...



ახალგაზრდა, მზით გარუჯულ ბრიგადირს თავი აღარ ახსოვს. ორმოცი სული ჰყავს ბრიგადაში, აქედან ოცდახუთმეტი ქალია. ბრიგადის ნაწილი ვენახში მუშაობს, ნაწილი ბაღში, ზოგი ბოსტანში. ისიც მთელი დღე გზაშია გაკრული, ხან ერთ ნაკვეთში ამოყოფს თავს, ხან მეორეში. უნდა ყველაფერი, რაც მისი ბრიგადის ხელიდან გამოდის, მხოლოდ ხარისხიანი იყოს, მხოლოდ საუკეთესო, რომ სირცხვილი არ ჭამოს კოლექტივის წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე.

ამ მეურნეობაში ის აქ პირველი დღიდანვე თავისიანად მიიღეს, გაჭირვება არ შეამჩნევინეს მარტოხელა, სამშვილიან ქალს. ამ მზრუნველობას ახლაც გრძნობს თინა, როცა ის წელგამართულია, დამოუკიდებელი.

ამ მზრუნველობას აქ ყველა იგრძნობს, ვისაც მუშაობა უყვარს.

აქ მუშაობა ხელსაყრელია, ოღონდ ხელი გაანძრიე. რამდენ პროცენტსაც გადააჭარბებ გეგმას, ხელფასის იმდენ პროცენტს დაგირიცხავენ, წლის ბოლოს პრემიასაც მიიღებ, მეურნეობის მაღაზიებში დიდ შეღავათიან ფასებში იყიდება აქვე მოწეული პროდუქტები, ხილი. ყოველ წელიწადს ახალ-ახალი კოტეჯები ემატება მეურნეობის ტერიტორიას. სამ და ოთხოთახიან ბინებს იღებენ მეურნეობის მუშები.

მეურნეობაში სამუშაო დღე დილის რვა საათზე იწყება და ოთხ საათამდე გრძელდება. ეს კანონით.

მათთვის, ვისთვისაც ყველა კანონზე მაღალი საკუთარი სინდისის კანონია, სამუშაო დღე უსასრულოდ გრძელდება. ამიტომ, როცა ბავშვებს დასაძინებლად დააწვენს, თინა წიგნებს და ახალ ჟურნალ-გაზეთებს ჩაუჯდება და მერე შუაღამემდე არ ქრება შუქი მისი ახალი თეთრი სახლის სარკმლებში.

თეთრი სახლი სულ ახლახან დადგეს ფერდობის თავზე. მაღალ ფეხებზე შემართული კოტეჯი დგას მწვანე ფერდობზე და თითქოს ეუცხოვება თავისი სითეთრე. ბავშვები ჯერაც ვერ შეჩვეულან ახალ სახლს: გარიჟრაჟზე თვალების ფშვნეტით გამორბიან ეზოში, რომ კიდევ ერთხელ შეხედონ, როგორ ხვდება მათი სახლი მზის ამოსვლას.

სახლი ახალია. ოთხ ოთახში კიდევ არ გამშრალა წითლად შეღებილი იატაკი, ფანჯრებზე ჯერ არ ჩამოუფარებიათ ფარდები და თეთრი სახლი ფართოდ გახელილი თვალებით უცდის მზის პირველ სხივებს.

მალე შინდისფერი ხანძარი მოედება აღმოსავლეთის ფანჯრებს, მზე, წითელი და დიდი, სვენებ-სვენებით ამოდის შორეული მთების იქით. და როდესაც მთლიანად განთავისუფლდება მთების ლურჯი სიმძიმისაგან და ჰაერში დაეკიდება მოელვარე, ცეცხლოვან ბურთად, ის ისახება სახლის სარკმელში და მაშინ ბავშვებს ეჩვენებათ, რომ პატარა სახლმა დაიჭირა მზე, გულში ჩაიკრა და აღარ უშვებს.

ბავშვებს უსასრულოდ შეუძლიათ უყურონ, როგორ ატყვევებს მათი ლამაზი სახლი მზეს.

ეს საბახაობა მათში იწვევს ჯერ განუცდელ სიამაყის გრძნობას: სახლი მათია, თუმცა ის მათთვის მამას არ აუშენებია. სახლი დედას აუშენეს, იმიტომ, რომ დედა მეურნეობაში ყველაზე კარგი ბრიგადირია. მამა აქედან შორს არ ცხოვრობს, მაგრამ რაც დრო გადის, ბავშვებისთვის ის სულ უფრო უცხო და შორეული ხდება. და მათ ფიქრში მისთვის თანდათან აღარ რჩება ადგილი...

— წავიდეთ ახლა და ხელ-პირი დავიბანოთ, თორემ დაგვაგვიანდება, — ამბობს ნუგზარი.

მანანა და ვიტალი უყოყმანოდ თანხმდებიან და ბავშვები სახლში შედიან. საუზმის შემდეგ კარებს გამოიკეტავენ და მეურნეობისკენ მიმავალ ბილიკზე გარბიან.

კანტორასთან მსუბუქი მანქანა დგას. მანქანის გამოღებულ კართან წასასვლელად გამზადებული დირექტორი რაღაცას უბარებს ბრიგადირებს. ბავშვები დედასაც ხედავენ. დირექტორი იმასაც ელაპარაკება.

— დედა!... — ყვირის ვიტალი.

ნუგზარი და მანანა ხალათის კალთას ქაჩავენ:

— სუ, დედას საქმე აქვს!

ვიტალი ჩუმდება, მაგრამ გზის გაგრძელება აღარ უნდა. დირექტორი ამათკენ იხედება.

— საით მიდის თქვენი რაზმი? — უძახის სიცილით. მერე მანქანაში ჯდება და მანქანა მოასფალტებულ გზაზე მისრიალებს.

დედა აქეთ გამორბის.

— ხომ არაფერი დაგვიწყებიათ? — ათვალიერებს ბავშვებს. გზადაგზა მანანას ბაფთს უსწორებს, ვიტალის შარვალს.

საბავშვო ბაღის ჭიშკართან ნუგზარი და მანანა არ ჩერდებიან და ჩანთების ქნევით გზას განაგრძობენ. ვიტალი ბაღის კარებში შედის. ზღურბლთან ერთხელ ჩერდება და დედას ჰაეროვან კოცნას უგზავნის.

დედა ხელს უქნევს და თავქვე გარბის.

ის თავის ნაკვეთისკენ გარბის, სადაც შემოდგომის ნაზი მზის ქვეშ იტრუნებიან მანდარინის, ფორთოხლის და ლიმონის ხეები. გარბის, როგორც ქალიშვილები გარბიან საყვარელ ადამიანთან შესახვედრად. ნაკვეთი აქვეა, აგერ, ამ მოსახვევის შემდეგ. და გრძნობს, როგორ ზღვავდება გულში ჩუმი აღტაცება მძიმედ დახრილი მწვანე ტოტების დანახვისას, რომლებზეც ელავენ, ოქროსფრად პრიალებენ ნარინჯები, როგორც ათასი, ასჯერ ათასი დატყვევებული მზე.

**ნ. ბარათაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვახტანგ ბარათაშვილი

მოთხრობა

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ქალაქ ლოს-ანჟელოს სპოიკ-სტრიტის ქუჩის მცხოვრებლები კარგად იყვნენ ჩახედული თავიანთი ახლობლების საქმეებში. სხვაგვარად არ გამიგოთ, სიტყვა „ახლობლებში“ მეზობლები მინდა ვიგულისხმო, რომელთა შესახებაც გვექნება ლაპარაკი.

მაგალითად, ყველამ იცოდა ის ამბავი, რომ ბერტა უორსლის ყბის მთლად ახალი პროტეზი დაეკარგა;რომ ჯეკ სპენსერმა სახლის უკანასკნელი შესატანი თანხა ვერ გადაიხადა და ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა; რომ როზი მარჩმა ქმრის სახლში არყოფნის დროს ილოგინა (თავს ტყუილად იმართლებს, ტომპსონის ქვრივმა და ბერტა უორსლიმ ზუსტად გამოითვალეს, იმათ კი, როგორმე დაეჯერებათ). განსაკუთრებული მდგომარეობით მხოლოდ ქალბატონი იზაბელა უილფრედი სარგებლობდა. იზაბელას იმით იცნობდნენ, რომ ძალიან მდიდარი და ოთხჯერ ნაქმარევი იყო. ოთხჯერ იმიტომ, რომ ქმრები შემოდგომის ბუზებივით ეხოცებოდა. ისე ცოდვას ვერ იტყვის კაცი, ოთხივე როგორც წესი და რიგი იყო დაიტირა და სათითაოდ, ყველას ძეგლი დაადგა.

ძნელი სათქმელია, რა მიზეზით გარბოდნენ მისი ცხოვრების თანამგზავრები იმ ნეტარ ქვეყანაში. იქნებ მიზეზი ბედისწერა, ან ქალბატონი უილფრედის ხასიათი იყო, რომლის გამო მასთან მოახლე ერთ თვეზე მეტს ვერა ძლებდა. მხოლოდ მანქანის მძღოლი ემსახურებოდა ათი წლის განმავლობაში უცვლელად. ეს შეუხედავი, ჩია კაცი არასოდეს არ შეუბრუნებდა თავის პატრონს ენას და იქნებ ამიტომაც შესძლო მისი გულის მონადირება. იგი ორსართულიანი სახლის ქვედა სართულში ცხოვრობდა, მაგრამ გარაჟში ათენ-აღამებდა; ქალბატონი მეტად მომთხოვნი იყო და მისი ორი მანქანა მუდამ სანიმუშო წესრიგში უნდა ყოფილიყო.

იზაბელა უილფრედი იმ ასაკში გახლდათ, როცა ქალები უკანასკნელად ცდილობენ ხოლმე დაიბრუნონ ახალგაზრდობა. სადღაც ამოიკითხა, კლეოპატრა ორმოცისა იყო, როცა ანტონიოსმა მისი გულისთვის ქვეყნის ბატონობაზე ხელი აიღოო. ხშირად იმეორებდა ამ ამბავს. სამწუხაროდ, მას არა ჰყავდა თავისი ანტონიოსი და ამის გამო წარამარა სევდას ეძლეოდა ხოლმე.

ერთხელ, საღამოხანს, იზაბელა სენტრალ-პარკში დასეირნობდა. ფიქრობდა, თუ რა ჩქარა მიჰქრიან წლები, რომ ყველაფერი ამ ქვეყნად ამაო და ფუჭია. უცბათ, ერთერთ სკამზე ახალგაზრდა ვაჟი შენიშნა. ვაჟი იჯდა და დაფიქრებული შორს იყურებოდა. შეამჩნია, ვაჟი ძლიერ ახალგაზრდა და ლამაზი იყო, მეოცნებე ცისფერი თვალები და ანტონიოსის პროფილი ჰქონდა. კარგად მოიქცა, თეთრი კოსტუმი რომ ჩაიცვა, ამ კოსტუმში უფრო ახალგაზრდათ გამოიყურება; ერთ წუთს ყოყმანობდა, ვერ მოიფიქრა როგორ გასცნობოდა. ამისათვის არც ისე ბევრი გზა არსებობს, თანაც ყველასათვის უკვე აშკარა. გადაწყვიტა ძველი, მაგრამ საიმედო გზით წასულიყო:

— ვერ მეტყვით, რომელი საათია? — ჰკითხა იზაბელამ, მის გვერდით დაეშვა და სასაუბროდ მოემზადა.

ახალგაზრდამ საათს დახედა, გულგრილად ისე, რომ თავიც არ მოუბრუნებია, გამოსცრა:

— ხუთს თხუთმეტი წუთი აკლია.

იგი ისევ გაუნძრევლად იჯდა და ჩაფიქრებული შორს იყურებოდა. მაგრამ იზაბელას გადაყვანა გამიზნული გზიდან არც ისე ადვილი იყო.

— ასეთ მშვენიერ დღეს ასე ნაღვლიანი რადა ხართ?! — ჰკითხა შემპარავად.

ვაჟმა როგორც იქნა მოაბრუნა თავი და ყურადღებით შეხედა ქალს. იზაბელას გულისხმიერება ჰქონდა სახეზე გამოხატული.

— გუშინ ბედმა არ გამიღიმა. — სთქვა ნაძალადევი კილოთი.

— მერე...

— მერე, ვზივარ და ვფიქრობ, როგორ დავიძვრინო თავი.

იზაბელამ თავი დახარა და ყვითელ ქვიშაზე ქოლგით წრეების ხაზვას მოჰყვა. მერე თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო, ისე შენიშნა:

— იქნებ მე მოგხმარებოდით?..

ახალგაზრდამ მხრები აიჩეჩა.

— თუ მდიდარი, თანაც კეთილი ბრძანდებით, შესძლებთ დამეხმაროთ.

— რამდენი გჭირდებათ? — ჰკითხა პირდაპირ.

— თუნდაც ათი დოლარი! — გულგრილად და უიმედოდ თქვა ვაჟმა.

— მე შემიძლია მოგცეთ ეს თანხა.

ვაჟმა თავი ასწია და გაოცებით შეხედა.

— დიახ, შემიძლია ამ თანხის მოცემა. — — გაიმეორა ქალმა. — მხოლოდ უნდა შეწუხდეთ და სახლამდის გამომყვეთ. ახლა ისეთი ახალგაზრდობა გვყავს, ძალაუნებურად გვეშინია ჯიბისა.

— მე თქვენ დაგიბრუნებთ ამ ფულს, როგორც კი ჩემი საქმე გამოკეთდება — მღელვარება ვერ დაფარა ვაჟმა.

იზაბელამ თავი დაუქნია. ქოლგა სილისაგან დაფერთხა და სკამიდან წამოდგა. ყმაწვილმა მკლავი შესთავაზა.

იზაბელა უმალვე დაეყრდნო მის ხელს. დინჯად დაიძრნენ ყვითელი სილით დაფარული ბილიკით.

ქალი გვერდიდან შესცქეროდა თანამგზავრს.

— იცით, კლეოპატრა ორმოცი წლისა იყო, როცა ანტონიოსმა მისი გულისათვის ქვეყნიერების ბატონობაზე ხელი აიღო.

— დიახ, წამიკითხავს, რაღაც არაჩვეულებრივად უყვარდა თურმე.

— თქვენ არასოდეს არ გამოგიცდიათ ასეთი სიყვარული? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა იზაბელა.

— არა, — გულღიად უპასუხა ვაჟმა, — ჯერ 22 წლისა ვარ და ვერ მოვასწარი.

— 22 წელი სიყვარულისათვის კლასიკურ ასაკად ითვლება. — ჩაილაპარაკა ქალმა.

— მერე? ინტერესით იკითხა ვაჟმა.

— მერე? — გაიცინა ქალმა,— მერე უფრო ნაკლები ეღირებით...

—ესეიგი, უნდა ვიჩქარო? — ვაჟმა სახეში ჩახედა.

— მე ასე მგონია, — თქვა იზაბელამ და გვერდზე გაიხედა, — შემთხვევა, რომელიც აღარ გამეორდება, ხელიდან არ უნდა გაუშვათ, უკვე მოვედით. ბედად, ნამდვილი იამაიკური რომი მაქვს. ხომ არ ინებებდით ერთ ჭიქას?

რათქმა უნდა, ვაჟს უარი არ უთქვამს ჭიქა იამაიკურ რომზე. არც მეორე ჭიქაზე უთქვამს უარი.

ისინი ისხდნენ იზაბელას პატარა სასტუმრო ოთახში, მეორე სართულზე. ქალმა გაიგო, რომ მას ფელიქს რენკი ჰქვია და კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობს.

— გონივრულია. ჩვენს დროში მედიცინა ყველაზე ფულიანი საქმეა.

ვაჟმა თავი გაიქნია:

— ეს რა ადამიანობაა, ხალხის ტანჯვაზე ბიზნესი ააგო?! მე იმდენს გამოვართმევ, რამდენსაც შესძლებენ.

— გაკოტრდები, ძვირფასო. — წყნარად თქვა ქალმა. — ჩვენს დროში ყველაფერს ფული სწყვეტს. კეთილშობილური იდეები



კი ძალიან იაფად ფასობს. ყოველშემთხვევაში, მე ერთ ცენტსაც არ გავიმეტებდი.

— მე აკი ათი დოლარი მომეცით! — შეაწყვეტინა ვაჟმა.

— დიახ, მაგრამ კეთილშობილური იდეებისათვის არ მომიცია, მე თქვენი სახე მომეწონა, ანტონიოსს გავხართ!

— ანტონიოსს ეძებთ?

უკვე ვიპოვე. — დარწმუნებით თქვა ქალმა. — განა ასე არ არის?

იზაბელა უილფრედი გამოცდილი ქალი გახლდათ. სიყვარულობიას თამაშში კი, როგორც უკვე ვიღაცამ თქვა, გამოცდილება ისეთივე კოზირია როგორც ახალგაზრდობა. ამიტომაც ფელიქს რენკი ოთხ თვეს თითქმის ბედნიერ კაცად თვლიდა თავს. შეიძლება, მისი გრძნობა მთლად უანგარო არ იყო, რადგან ხშირად სთხოვდა ხოლმე ხან ათ, ხან ოც დოლარს. იზაბელა დიდი სიამოვნებით არ აძლევდა ფულს, მაგრამ უარს კი არასოდეს არ ეუბნებოდა და არც იმასა ჰკითხავდა სად მიჰქონდა.

ერთხელ რენკმა, უფრო დარცხვენილმა, ვიდრე ოდესმე (წინა დღით 80 დოლარი გამოართვა), ოცი დოლარი სთხოვა. იზაბელამ საყვედურით შეხედა და თავი გადაიქნია.

— ჩემო საუნჯევ, ძალიან ბევრ ფულსა ხარჯავ. წინათ პირიქით იყო, ოთხივე ქმარი ძალიან მდიდარი მყავდა და აქეთ მახარჯავდნენ. არცერთისადმი კი ისეთი გრძნობა არა მქონია როგორც შენდამი. — ქალმა პირდაპირ შეხედა. — ცენტიც არ გაგაჩნია, მაგრამ ჩემი ანტონიოსი ვიპოვე შენში. ეს თავადაც კარგად იცი. მხოლოდ ბოროტად არ უნდა გამოიყენო ეს. მითუმეტეს, ანგარიში არასოდეს არ მომითხოვია.

ფელიქსი გაწითლდა და თვალები დახარა.

— კარგი, — ჩაილაპარაკა მან ყრუდ, — ყველაფერს მოგიყვები. — მიუახლოვდა, მისი ხელები თავისში ჩამალა, — ყური მიგდე, ტიბი, ვიცრუე, ვსწავლობ-მეთქი რომ გითხარი. მე... მე ვთამაშობ.

— ოჰ, აი თურმე, როგორ ყოფილა საქმე! —თქვა ქალმა ცივად.

— დიახ, დიახ! — გაცხარდა ფელიქსი, — სწავლისათვის ფულია საჭირო. მერე საიდან? მზად გახლდი, ქუჩები დამეგავა. მაგრამ ახეთი სამუშაოც ვერ ვიშოვე.—რენკმა მაგრად მოუჭირა ხელები. — დამიჯერე, ტიბი, მედიცინაა ჩემი საოცნებო საგანი. სხვაზე არაფერზე არ შემიძლია ვიფიქრო... ბოდა, თავს პირობა მივეცი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ფულს ვიშოვნი-მეთქი, — ფელიქსმა ჯიუტად აიქნია თავი, — მაგრამ, რამდენჯერაც არ ვითამაშე, არცერთხელ ბედმა არ გამიღიმა. უნდა კი აუცილებლად გამიღიმოს. ასეა ალბათობის თეორიის მიხედვით.

რენკი გამოცოცხლდა, თვალებში იმედის სხივი გამოუკრთა.

— გახსოვს, დიკენსის მოხუცი? მან ზუსტად გამოითვალა როდის მოიგებდა.

— მერე, მოიგო? — ჰკითხა იზაბელამ.

— ვერ მოიგო, ვერ მოიგო, იმიტომ რომ შულერებს ეთამაშებოდა. შულერები ერთმანეთს უჩვენებდნენ ბანქოს ქაღალდს. მოხუცმა, რათქმაუნდა, არაფერი არ იცოდა ამის შესახებ.

— შენ? — გაიცინა იზაბელამ. — ტოტალიზატორზე მგონი წმინდანები არ თამაშობენ!

— მართალი ხარ — დაეთანხმა რენკი. — მაგრამ ყველა ფანდი ჩემთვის კარგად ცნობილია. — მან მხრები აიჩეჩა. — იღბალი არა მაქვს და ის არის.

იზაბელამ ხელი გააშვებინა და ფანჯარასთან მივიდა. კარგახანს იდგა ზურგშექცეული, რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს, როგორც იქნა, შემობრუნდა.

— ას დოლარს მოგცემ, დიდი თანხა დადე, იქნებ ეს გამოდგეს იღბლიანი.

რენკს თვალებში სითბო ჩაეღვარა.

—როგორი კეთილი ხარ. — თქვა მან მადლობის კილოთი და ხმაში თრთოლვა დაეტყო.

ქალმა გამამხნევებლად გაუღიმა, მაგრამ მაშინვე შეფიქრიანდა და შუბლი შეიჭმუხნა:

— დღეს რომ დაკეტილია ბანკი! ჯეკომს რევიზია აქვს. ნასადილევს გააღებს. სახლში კი ამდენი ფული არა მაქვს... თუმცა, არა უშავს. — ქვემოთ დარეკა.—ბილ აკტინსთან წადით და ჩემი სახელით ასი დოლარი სთხოვეთ, საღამომდე მჭირდებათქო. — უთხრა მძღოლს, რომელიც ზარის ხმაზე გამოჩნდა.

— კარგით, ქალბატონო. — მძღოლმა თავი დახარა და რაღაცნაირად დაიმანჭა.

— რა სიფათი აქვს! როგორ იტან? ლაპარაკიც არ შეუძლია ადამიანურად, — თქვა რენკმა მისი გასვლის შემდეგ.

— მართალი ხარ. — გაიცინა იზაბელამ, — სამაგიეროდ გაჩუმება შეუძლია.

იმავე საღამოს, როცა იზაბელა დასაძინებლად ემზადებოდა, ფელიქს რენკი საძინებელ ოთახში შეიჭრა და აღელვებულმა ზღურბლიდანვე დაიყვირა:

— მოვიგე! ათიათასი მოვიგე, ტიბი, გესმის?! ათი ათასი! ნახე! — ბლუჯა-ბლუჯად ამოყარა ჯიბეებიდან ქაღალდის ფული.

იზაბელას მქრქალ სახეზე ვარდისფერი ლაქები დააყარა. თმის დახვევას თავი მიანება და ხელები უღონოდ ჩამოუშვა.

— ასე სიზმარში ხდება! — წაიჩურჩულა მან.

— ეშმაკმა დამლახვროს, თუ ოდესმე ტოტალიზატორს მივეკარო. — ბობოქრობდა

რენკი, — ახლა უკვე შემიძლია სწავლა! გაიგე, ძვირფასო?!

ქალმა ოდნავ გაიღიმა და ფულის გროვას რჩევა დაუწყო.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — იმეორებდა იგი, — ასეთი რამე სიზმარში ხდება მხოლოდ. წარმოგიდგენიათ...

- აბა, წარმოიდგინე, — სიხარულითა და განცვიფრებით გაიმეორა რენკმა, — რომ ამ დაჭმუჭნულ ქაღალდებში ჩემი დიდი ხნის ოცნება, მთელი ჩემი ცხოვრების აზრი და მიზანია...

— ჩემი სამას ათი დოლარი გმართებს, — შეაწყვეტინა იზაბელამ. მან ფული გადათვალა და გვერდზე გადადო.

— შენი ვალის ფულით გაზომვა შეუძლებელია...

— ძვირფასო,—დინჯი კილოთი თქვა ქალმა, — მე ყველაფერში სიზუსტე მიყვარს. ჩემი 310 დოლარი გმართებს. ეს კაპიტალი კი მთლიანად შენია. ხვალვე ბანკში უნდა შეიტანო...

— ჰო, კარგი, — მოუთმენლად თქვა რენკმა, — ეს ხვალ იქნება, დღეს კი... მოიხსენი ბიგუტები, მთელი ღამე უნდა ვიქეიფოთ! ის ასი დოლარი, მართლაც იღბლიანი გამოდგა.

იზაბელამ დაბნეულად გაიღიმა.

— ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს, — თქვა მან და ფულის დასტები შეათვალიერა. — ათი ათასი! ჭკუიდან შესაშლელია! — მერე რენკს დამნაშავესავით შეხედა.

—ას დოლარში ათი ათასი!—გადიქნია თავი. ფულს შეხედა და უცბად მოიღუშა:—მე რომ ამ საღამოსთვის დავპირდი ბილ აკტინსს ფული!? ახლავე გავაგზავნი ტობაიესს.



ხალათი შეიკრა და ქვევით ჩავიდა. მობრუნებულს, დაბნეული და დანაღვლიანებული სახე ჰქონდა.

— იმ ჩერჩეტ ტობაიესს ორივე მანქანა დაუშლია, — განაცხადა მან და ხელები გაშალა. — თანაც გალეშილია. რა უნდა ვქნათ?

— ხვალ დავუბრუნებთ ფულს. — უზრუნველად განაცხადა რენკმა.

— არა, — წყენით ჩაილაპარაკა იზაბელამ. — დღეს საღამოსთვის დავპირდი. შენ არ იცი, როგორი სიზუსტე მიყვარს მე ყველაფერში. იცი, რა ფილ,—გამოცოცხლდა ქალი. — სანამ მე სადღესასწაულო სუფრას გავშლი და ჩავიცვამ, შენ ათჯერ მოასწრებ ბილამდის მირბენას.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო, — თქვა ფილმა სიამოვნებით, — აქამდის როგორ ვერ მოვიფიქრე...

იზაბელამ დასტიდან ასდოლარიანი გამოაძრო და კონვერტში ჩადო.

— ეს გრიინ-სტრიტზე რომ ცხოვრობს, ის ბილია? — დააზუსტა რენკმა.

— ჰო, ჰო, ის ბილია. გრიინ-სტრიტი, 14.

— სად გამოძებნა ასეთი შემაზრზენი ადგილი! — მოიბუზა რენკი.

— ბინები იქ უფრო იაფიაო. მეტისმეტად ძუნწია. — გაიღიმა იზაბელამ და აკოცა. — მალე დაბრუნდი.

— მდიდრული სუფრა გააწყვე, — თქვა რენკმა და კარისაკენ წავიდა, — მთელი ღამე უნდა ვიქეიფოთ. ყველაზე ლამაზი კაბა ჩაიცვი. ნახევარ საათში დავბრუნდები.

...ნახევარი საათის შემდეგ იზაბელა უილფრედის სახლთან პოლიციის მანქანა გაჩერდა, საიდანაც ორმა ჩაფსკვნილმა პოლიციელმა ფელიქს რენკის დასისხლიანებული და დასახიჩრებული სხეული გადმოიღო. იზაბელა ხალათგახსნილი, თმაში ბიგუტებით, გადარეული გამოვარდა სახლიდან და მკერდზე მიიკრა თავისი ანტონიოსის უსიცოცხლო ლამაზი თავი. ქალს ჩუმი ქვითინისაგან მხრები უძაგძაგებდა.

პოლისმენმა თანაგრძნობით აუხსნა:

— ფლეტჩერ-სტრიტზე ვიპოვნეთ. ეტყობა მანქანა დაეჯახა და მაშინვე გაათავა. მხოლოდ თქვენი მისამართის თქმა მოასწრო...

ყველაფერი უხმაუროდ ხდებოდა, მაგრამ სახლთან მაინც მთელმა ქუჩამ მოიყარა თავი. იზაბელა ჩუმად იკვნეტდა ტუჩებს. მეზობლებს კი უკვე გაცხარებული დისკუსია გაემართათ. ბერტა უორსლიმ, აი იმან, ყბის ახალი პროტეზი რომ დაკარგა, დამწუხრებით ჩაიდუდუნა:

— საცოდავი იზაბელა, ისევ არ გაუმართლა. თუმცა ქმარი არ იყო...

— ხალხის თვალში არ იყო ქმარი, — შეაწყვეტინა როზი მარჩმა, — ღვთის წინაშე კი ქმარი იყო.

— ღვთის წინაშე! — გესლიანად გამოაჯავრა ტომპსონის ქვრივმა. — ეგრე იმიტომ ამბობ, რომ თვითონ შეცოდე, უდროოდ ილოგინე.

— ოჰ, შე ბებერო ქოფაკო! — აფეთქდა როზი. — ჯობია შენ თავზე დაიხედო!

— სადა სცალია თავზე დასახედად. — მიაშველა ჯეკ სპენსერმა, — მაგიტომ მოხვედი აქ?

— შენ თითონ რაზე მობრძანდი? — აქაქანდა ქვრივი.

— ყველგან უნდა ჩაყოს ცხვირი და იმიტომ, — ჩაიქირქილა ბერტა უორსლიმ, — შარშან მთელი წელი ჩემ ფანჯრებში იჭყიტებოდა, როცა ტანზე ვიხდიდი.

— ძალიან არ მეპიტნავებოდა შენი ყურება! — დაიფრუტუნა ჯეკ სპენსერმა. — ჩონჩხის საყურებლად მუზეუმშიც წავიდოდი.

— ვინა, მე ვარ ჩონჩხი? — მუქარით მიიწია ბერტა უორსლიმ.

უკვე დაავიწყდათ ფელიქს რენკი და თავისი ძველი წყენის და გაუგებრობის გარჩევას შეუდგნენ. რას იზამ! ასე ცხოვრობდნენ სპოიკ-სტრიტზე, თავიანთ საზრუნავში ჩაფლულთ, სხვისი ჭირ-ვარამი აღარ ახსოვდათ...

როცა ფელიქს რენკი სახლში შეასვენეს, პოლიციელები წავიდნენ და მეზობლებიც დაიშალნენ. იზაბელა უილფრედი ნელა ავიდა თავის საძინებელში, ბიურო გახსნა და ფაქიზად დაწყობილი ფულის დასტები გამოიღო. ეს იყო ყველაფერი, რაც ფელიქს რენკიდან დარჩა. დიდხანს იჯდა გაუნძრევლად და დასტებს თვალს არ აშორებდა. მერე ქვევით დარეკა, თავისი მძღოლი გამოიძახა.

— ტობაიეს, — თქვა ქალმა მშრალად,— პოლისმენმა მითხრა ფელიქს რენკს მანქანა ფლეტჩერ-სტრიტზე დაეჯახაო.

მძღოლმა უხერხულად გაშალა ხელები და ფეხი მოინაცვლა.

— დიახ, ასე იყო, — ჩაიბურტყუნა მან.

— იქნება მართლა გალეშილი იყავით? — მკაცრად განაგრძო ქალმა.

— რას ამბობთ, ქალბატონო,—აწრიალდა პოპლი, — თქვენ ხომ იცით, რომ სპირტს ახლოს არ ვიკარებ. მაგრამ მარკეტ-სტრიტზე, როგორც თქვენ ბრძანეთ, ვერ დავეწიე. რათქმა უნდა, მარკეტ-სტრიტზე ჯობდა, იქ დილამდე ვერ ნახავდნენ. მაგრამ, — სინანულით ამოიოხრა მძღოლმა, — ვერ მოვასწარი და იძულებული ვიყავი ფლეტჩერ-სტრიტზე მემოქმედა. იქ კი ქვეყნის პოლისმენია. მაგრამ დარდი ნუ გაქვთ, ქალბატონო, ყველაფერი ისევე მოხერხებულად გავაკეთე, როგორც ყოველთვის.

— რას იზამ. — ამოიოხრა იზაბელამ. — რაკი ჩემი მისამართის თქმა მოასწრო. მისი დასაფლავება, თქვენი უხეირობის გამო, მე უნდა ვიკისრო. ამიტომ ათასი დოლარის მაგივრად მიიღებთ რვაას. ორას დოლარს დასაფლავების ხარჯში გამოგიბრით. თქვენ იცით, რომ მე ყველაფერში სიზუსტე მიყვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი მუშკორი



ელპიდი გეგენავა, გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის მე-2 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, პრესის ძველი მუშაკია. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაიწყო მან გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" კორესპოდენციების ბეჭდვა. მისი პირველი წერილი „ახალგაზრდობის შაბათობების შესახებ", რასაც ქვრივობლების დასახმარებლად და „წერკუმსის" ფონდის გასაძლიერებლად აწყობდა ცხაკაიას რკინიგზის კომკავშირული უჯრედი, 1925 წელს დაიბეჭდა გაზეთში.

საყურადღებო იყო მეორე წერილი „ხაზი დაკავებულია", რომელიც ცხაკაიას რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უხეირო მუშაობას აკრიტიკებდა; არანაკლები ინტერესით იკითხებოდა ე. გეგენავას კრიტიკული ნარკვევები „გინდა რა გინდას მელექსე", „მაუზერისტი ნოქალაქევში", „ვარდიდან ვარდზე მფრინავი", რომლებიც ეხებოდნენ რაიონის მაშინდელი ყოფის მტკივნეულ საკითხებს.

პედინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1928-1934 წლები) ელპიდი კვლავ განაგრძობდა „ახალგაზრდა კომუნისტში" თანამშრომლობას. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გეგეჭკორის საშუალო სკოლაში მუშაობის დროს იყო რაიონული გაზეთის „სოციალისტური სოფლის" აქტიური კორესპოდენტი, ხოლო 1938-1940 წლებში, მუშაობდა რა ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორად, ბეჭდავდა წერილებს რაიონულ გაზეთში. სოფლის მეურნეობის მიღწევების პოპულარიზაციისა და მოწინავეთა გამოცდილების განზოგადოების საქმეში დამსახურებისათვის ელპიდი გეგენავა ზუგდიდის რაიონული გაზეთის „მებრძოლის" კოლექტივთან ერთად 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე იყო.

ახლა ე. გეგენავა მოწინავე მასწავლებელია და აქტიურ მონაწილეობას იღებს, როგორც სასკოლო ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გ. სადუნიშვილი,
ვ. მჭედლიშვილი.

# დღეს დაიბადა ჩემი გოგონა

ვახტანგ ძნელაძე

დღეს დაიბადა ჩემი გოგონა,
როგორც უჭკნობი ღიმილი ლექსის.
მასზე უნაზეს ფიქრებს რომ ვკონავ,
უსაყვარლესი ტიკტიკი მესმის:

სურს ჩემს კუდრაჭას გახდეს ექიმი,
რომ აუხილოს მამას თვალები.
ვუსმენ სასურველს და მზის ტყვედქმნილი,
სულში ღრუბელი კვდება წვალებით.

ვკოცნი პატარას, მე მჯერა მისი.
ვით ოცნების და ნატვრის გულწრფელის;
ის გაიზრდება კეთილი, ვიცი,
რა ვუყოთ, მამას თუ ვერ უშველის...

ჰგავდეს ტკბილ წკრიალს ჩონგურის სიმთა —
თაფლად დამდნარი მისი ხმა ნაზი,
იყოს დღეგრძელი იცოდეს წმინდა
სიყვარულის და სიცოცხლის ფასი!

ვარდებს თესდეს და ვარდებს იმკიდეს,
იქ იდგეს, სადაც შრომა მუსიკობს,
დაატარებდეს, როგორც სიმდიდრეს,
გულით მამულის ტრფობას უმწიკვლოს.

უყვარდეს წიგნი სიცოცხლესავით,
წიგნი — რჩეულთა ნაფიქრ-ნაგრძნობი,
მარად სიკეთის იყოს მთესავი
ძვირფასი თვალი ჩემი კაცობის.

არ დამიჩაგროს ომმა ტიალმა,
ყოვლის მმუსვრელმა სიკვდილის ცელით,
მწუხარებამ და გლოვამ კი არა,
ბედნიერებამ მოჰგვაროს ცრემლი.

სხვა რა ჩავუთქვა, სხვა რა ვუსურვო
შეჭრილმა ლამაზ ფიქრთა მხარეში!
ის ჯერ ქორფაა და უსუსური,
დაპურდეს თბილი მზით და ალერსით!.

დღეს დაიბადა ჩემი გოგონა
და დეკემბერში გამიზაფხულა,
ლელვად მაქცია, ლექსად მაქცია,
ზმანების ოქროს წამი მარგუნა.

დღეს აღარ ვგავარ ხეს უნაყოფოს,
დღეს უფრო მიყვარს ჩემი სახლკარი;
მეც მივეც ერთი ნერგი სამშობლოს,
მისი ჩახჩახა მზით გასახარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნინო შიუკაშვილი

აივანზე სავარძელში მოხუცი იჯდა, წიგნს კითხულობდა, თვალი შევასწარი, გროსმანის „დოსტოევსკი" იყო. არ ვიცი იმიტომ, რომ ის ახლახანს გამოსულ წიგნს კითხულობდა, თუ იმიტომ, რომ მან სწრაფი მოძრაობით მოიხსნა სათვალე და წამოდგომა დააპირა, მე მოულოდნელობის ნაცნობმა სიხარულმა ამიტანა... ჩვენს პირველ შეხვედრას მოჰყვა მეორე, მესამე, მეათე. ის მიამბობდა და ჩემს თვალწინ იშლებოდა რევოლუციამდელი თელავის პროგრესული საზოგადოების ცხოვრება, ცოცხლდებოდნენ სიკეთისა და სინათლისათვის მებრძოლთა მივიწყებული სახეები და მათი მოღვაწეობის და ბრძოლის რომანტიკით მოხიბლული, სულგანაბული ვუსმენდი. წარსულში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, დაუცხრომლად აინტერესებდა ჟურნალებში დაბეჭდილი და ცალკე წიგნებად გამოსული ახალი ნაწარმოებები. ხან ჩემს წიგნებს მოსდგებოდა ხოლმე. მაშინ მის თხელ ტუჩებს მეგობრული დაცინვა დაჰკრავდა, თვალები და თვალის კუთხეებიდან საფეთქლებისკენ წვრილ მარაოსავით გაშლილი ნაოჭები კეთილად და სათნოდ მიღიმოდნენ. თავაზიანს და მოკრძალებულს, ხორბლისფერ სახეზე ალი ეკიდებოდა, როცა დინჯად და ამომწურავად ასაბუთებდა თავის აზრს. მისი სწრაფი ასოციაციებით აზროვნების დადევნება წრთვნიდა გონებას, მეხსიერებას, გულისყურს და მე ვნანობდი, რომ თავის დროს არ შევხვედრივარ ასეთ მრჩეველს.

13 წლისაც არ იყო ნინო, თელავის წმინდა ნინოს 4-კლასიანი სასწავლებელი (Заведение), რომ დაამთავრა. ამ სასწავლებელში დაწესებული იყო ანა ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია, რომელიც ეძლეოდა ყველაზე წარჩინებით სკოლადამთავრებულ მოწაფეს, თბილისის წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად (ანა იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალი, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომში დაიღუპა). ნინოს ხვდა წილად ეს სტიპენდია, და 13 წლის გოგონა მშობლებმა თბილისში გააცილეს. იმ დროს, თბილისის წმინდა ნინოს 7-კლასიანი სასწავლებლის დამთავრება ისეთ დიდ მიღწევად ითვლებოდა, რომ იშვიათად თუ ვინმე ფიქრობდა სწავლის გაგრძელებას, ნინო კი საგონებელში ჩავარდა. სწავლა უნდოდა, წყარო კი არ გააჩნდა. მაგრამ ბედმა გაუღიმა. ილიას მიერ დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომლის ჩერქეზიშვილის ოჯახში მიიწვიეს ბავშვების რეპეტიტორად. ნინოს საშუალება მიეცა ესწავლა ქალთა 1-ლი გიმნაზიის სპეციალურ პედაგოგიურ კლასებში. პედაგოგის დიპლომის მიღებისთანავე ნინო ბოდბის მონასტრის იღუმენიამ მიიწვია მასწავლებლად მონასტრის ორკლასიან სასწავლებელში და აქედან იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

მაგრამ ძნელი და უსიხარულო იყო ეს დასაწყისი. ქართველ მასწავლებლებს ბავშვებთან კი არა, ერთმანეთშიც არ შეეძლოთ ქართულად დალაპარაკება. დამსმენი-მონაზვნები ჩუმად სდევდნენ მათ ფეხდაფეხ.

ნინო რუსულად სწავლობდა, მაგრამ ახლა ის აზრი, რომ თითონ უკრძალავდა ბავშვებს დედაენას, თითონ გამოდიოდა მშობლიური ენის დავიწყებისაკენ მიმართული პოლიტიკის გამტარებელი — სიცოცხლეს უწამლავდა. ახალგაზრდა მასწავლებელს დღითი-დღე უძლიერდებოდა შინაგანი პროტესტის გრძნობა, მაგრამ მისი სულ უმნიშვნელო გამოვლენის საშუალებაც არა ჰქონდა. ამ მდგომარეობიდან ნინო მისმა დამ ელენემ იხსნა, თელავში გაიწვია. მაგრამ, რამაც ნინო აიძულა ბოდბიდან გამოქცეულიყო, თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელშიც ის დახვდა. ფიქრით ძილდამფრთხალ ღამეებში ფრთებს ისხამდა ოცნება ქართულ სკოლაზე. ოცნება თანდათან მიზნად იქცა და ნინომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მიეღწია ამ მიზნისათვის და გაორკეცებული ენერგიით შეუდგა ჩანაფიქრის შესრულებას.

მრავალი თხოვნისა და მიწერ-მოწერის შედეგად, კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის — იანოვსკისაგან მიიღო კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვა. გახარებულმა ნინომ მამისეულ სახლს, თელავის დასაწყისშივე გორაზე რომ დგას, დიდი აბრა მიაჭედა: „Частное учебное заведение III разряда Н. М. Шиуковой."

შენობა კი უფასო ჰქონდა, მაგრამ სხვა რამდენი რამ სჭირდებოდა სკოლას! და ნინოს პედაგოგი დები ამოუდგნენ მხარში: ელენე, თამარი,მართა, ეხმარებოდა მარიამიც, რომელიც ამ დროს პეტერბურგში სწავლობდა, ბესტუჟევის სახელობის ქალთა უმაღლეს კურსებზე. თითქოს ყველაფერი კარგად ეწყობოდა, მაგრამ ნაადრევი გამოდგა ნინოს სიხარული. სკოლის გახსნის ნებართვა რომ მისცეს, თან ფხიზელი მეთვალყურენიც მიუჩინეს თურმე.

ბავშვებს მშობლიური ანბანი რომ სწრაფად აეთვისებინათ, ნინომ მსხვილად მოხაზული ასოები ცალ-ცალკე ამოჭრა. ამ ასოებიდან შედგენილი იყო იმ დროს ძალიან პოპულარული ლექსი: „ჩვენი ბატონი ერეკლე ერთი პატარა კახია, ჩააცვეს ჯაჭვის პერანგი, გაჰკრა ხელი და გახია". ამის მიხედვით ბავშვები ეძებდნენ საჭირო ასოებს. ასოები კი წვრილ კანაფზე ეკიდნენ და მათი აწევ-დაწევა შეიძლებოდა. თუ გორაზე, ან სკოლის ახლო-მახლო „დაუპატიჟებელი" სტუმარი გამოჩნდებოდა, კანაფზე გამობმული ქართული ასოები ჭერს ეკვროდნენ და ბავშვებს რუსული ანბანი ურიგდებოდათ.

ბედნიერი იყო ნინო, დარწმუნებული, რომ თავისი „დანაშაულებრივი" საქმიანობა საიმედოდ აქვს შენიღბული, სინამდვილეში კი მოყვრებმაც და მტრებმაც მალე გაიგეს, რომ ნინო თავის სკოლაში ბავშვებს დედაენას ასწავლიდა. ეს „ბუნტს" ჰგავდა და ამის გამო ატეხილმა განგაშმა წონასწორობიდან გამოიყვანა კავკასიის სამოსწავლო ოლქის ჩინოვნიკობა.

საბოლოოდ, სკოლის ბედი თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ინსპექტორმა შულგინმა გადასწყვიტა. „თქვენ რუსული სკოლის გახსნის ნებართვა მიიღეთ და აქ კი ქართულს ასწავლითო!" — უყვიროდა შულგინი ნინოს. სკოლა დაიხურა. ნინოს იქ აღარ ედგომებოდა და თბილისში წამოვიდა. რა იცოდა, რომ შორეული გაზაფხულის პირველი მერცხალი, მისი სიყვარულით ნასულდგმულევი ის პატარა უსახსრო და უუფლებო სკოლა თელავის პირველი ქართული სკოლის საძირკველი გახდებოდა.

ნინო პეტერბურგში წავიდა და იქ გათხოვდა საზოგადოება „კახეთიას" წარმომადგენელზე, ალექსანდრე გოგნიაშვილზე. ქართველი ერის ღირსეული და ნიჭიერი შვილებისადმი ნინოს უსაზღვრო პატივისცემაზე, მის უტყუარ ალღოზე და გულისხმიერებაზე მეტყველებს ერთი პატარა დეტალი: გოგნიაშვილების ხშირი სტუმრები იყვნენ იმ დროს პეტერბურგში მყოფი ძმები—ივანე და გიორგი ჯავახიშვილები. ივანე ჯავახიშვილს ჩვეულებად ჰქონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრის დროს ქაღალდზე ჩანახატების კეთება. ერთხელ გოგნიაშვილებთან სტუმრად ყოფნისას მაგიდაზე დარჩენია ბლომად ჩანახატები. ათეული წლების შემდეგ, სათუთად მოვლილი და შენახული ეს ნახატები ნინოს გაუგზავნია ავტორისათვის. პასუხი მოსულია: „დიდად პატივცემულო ქალბატონო ნინო! ავად გახლდით აქამდის და ამიტომ გულითადი მადლობა ვერ მოგახსენეთ იმ ჩემი „ნახატებისათვის“, რომელიც თქვენს ოჯახში საამური მეგობრული საუბრის დროს დამიჯღაბნია. გასაოცარია, როგორ გადარჩენილა ეს „ნახატები“ ამ სამ ნახევარი ათეული წლის განმავლობაში!..“

1910 წელს ნინო, თავისი ორი მცირეწლოვანი ბავშვით და ავადმყოფი ქმრით, საქართველოში დაბრუნდა. სამი თვის შემდეგ ა. გოგნიაშვილი გარდაიცვალა და ნინომ თელავს მიაშურა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეწყვიტა თელავში ქართული სკოლის გახსნა. ამ საზ-ბის თელავის განყოფილების დამაარსებელს და ხელმძღვანელს, თამარ აბაშიძეს და გამგეობის წევრს ნიკიფორე მამინაიშვილს სკოლის გამგედ და მასწავლებლად ნინო დაესახელებინათ.

1911 წლის სექტემბერში გაიხსნა თელავის ქართული სკოლა, სწორედ იმ სახლში და იმ ბაზაზე, სადაც ათიოდე წლის წინ ნინოს კერძო სასწავლებელი იყო. მოწაფეებმა, მათმა მშობლებმა და თელავის მცხოვრებლებმა ქართულ სკოლას „გორის სკოლა“ შეარქვეს, რადგან სახლი გორაზე იყო. სკოლაში ყველა საგნის სწავლება ქართულ ენაზე იმდენად უჩვეულო მოვლენა იყო, რომ სხვა სასწავლებლებიდან მოსწავლენი ხშირად ესწრებოდნენ ნინოს გაკვეთილებს.

პირველ ორ წელიწადს ნინო მარტო უძღვებოდა სკოლას, მერე კი, როცა მესამე განყოფილებაც გაიხსნა, მას ერთი მასწავლებელიც მიაშველეს. ნინო დიდი მადლიერებით იხსენებს მასწავლებლებს ანა ჯაჯანიძე-ზურაბიშვილს და ნინო ლაშხაურს, რომლებიც მასთან ერთად გატაცებით ემსახურებოდნენ საერთო სასიხარულო საქმეს. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას არავითარი სახსრები არ გააჩნდა და სკოლის შენახვა თითქმის მთლიანად თელავის ქართველმა საზოგადოებრიობამ ითავა. პირველად ივანე ჯავახიშვილის დიდედამ, სოფიო ვახვახიშვილმა 400 მანეთი შესწირა სკოლას. ამ ფულით დურგალმა მიხა ხომიზურაშვილმა, რომელიც თურმე საოცრად ჰგავდა დარვინს და ხალხი „წვერიან მიხას“ ეძახდა, იაფფასებში გააკეთებინა სკოლის ინვენტარი.

საგრძნობ შემოსავალს აძლევდა სკოლას მოყვარულთა ძალებით გამართული საღამოები, ილიაობა, საახალწლო ნაძვის ხე, ნინოობა. განსაკუთრებით დიდი იყო შემოსავალი, როცა საღამოში ნიკო სულხანიშვილის გუნდი მონაწილეობდა. სკოლის ყველაზე მოზრდილ დარბაზს ნინო განსაზღვრულ საათებში, არდადეგების დროს კი მთლიანად ნიკო სულხანიშვილს უთმობდა. კომპოზიტორს ვიოლინო და ფისგარმონია ჰქონდა იქ მიტანილი, იქ ამეცადინებდა თავის გუნდს და იქ სწერდა თავის



თელავის ძველი სკოლის შენობა

„პატარა კახს“. სამაგიეროდ იგი საღამოებზე გუნდს ამღერებდა ნაწყვეტებს „პატარა კახიდან“, „ურმულს“, „სამშობლო ხევსურისას“, აკაკის ლექსზე დაწერილ „გორის ციხეს“, საუკეთესო მომღერლებს შობაღამეს ალილოზე ჰგზავნიდა შეძლებულ ოჯახებში. აქ მათ საგრძნობი შეწირულებით აჯილდოვებდნენ. ფულად შემოსავალს წერა-კითხვის საზოგადოების ხაზინადარი ვანო პაატაშვილი იბარებდა, საჩუქრებს, სათამაშოებს და ტკბილეულს კი ბავშვებს ურიგებდნენ. ბავშვებს ურიგდებოდა აგრეთვე საკაბე ან სახალათე ჩითი, სკოლაში მოხარშული საპონი, რვეულები, ფანქრები. სკოლის შემოსავალს შეადგენდა აგრეთვე თელავის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საწევრო გადასახადი. ნინომ სკოლას მალე ბიბლიოთეკაც შესძინა. წიგნებს ან მეტად დაბალ ფასებში, ან მთლად უსასყიდლოდ უთმობდნენ ნაცნობი ოჯახები. დაუშრეტელი იყო მისი გამომგონებლობა ბავშვთა გონების გახსნისათვის, დედაენისა და შრომის შეყვარებისათვის. ალბათ პედაგოგიურმა ალღომ უკარნახა, რომ სკოლაში დაენერგა ახალი მეთოდი, რომელიც ახლა ფართოდ არის გავრცელებული საბჭოთა სკოლებში—პროფესიული სწავლება. ქება-მოწონებით წაქეზებული და ერთიმეორის წამხედვარობით ბავშვები გაკვეთილების შემდეგ გვიანობამდე რჩებოდნენ სკოლაში და გატაცებით მუშაობდნენ. სკოლის მუზეუმში გამოფენილი იყო მოწაფეთა ხელით გაკეთებული ურმები, გუთნები, ცულები, ფიწლები, კევრები, ორთითები; გოგონების შეკერილი ჩოხები, ახალუხები, შარვლები, კაბები, მოქსოვილი წინდები, ტყავის მესტები და სხვა მრავალი. ბიბლიოთეკაში ინახებოდა ბავშვების ხელით გაკეთებულ ყდაში ჩასმული, ფაქიზად მოვლილი სქელი რვეული—„ჩვენი ჟურნალი“. კვირაში ერთხელ მოწაფეებს ჰქონდათ თავისუფალი წერის საათი. უკეთესი ნაშრომის ავტორი კვირადღეს მოდიოდა სკოლაში და „ჩვენ ჟურნალში“ სწერდა თავის ნაწარმოებს.

თელავის პირველი ქართული სკოლა დაწყებითი სკოლა იყო, მას სულ ოთხი განყოფილება ჰქონდა. ამ სკოლის დამთავრებისას ბავშვები სხვა სკოლებში განაგრძობდნენ სწავლას რუსულად. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უახლოესს ამოცანას მაშინ ის შეადგენდა, რომ ბავშვებს მშობლიური ენის საფუძვლები შეეთვისებინათ და სკოლა ამ ამოცანას ასრულებდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი შრომის სკოლად გადაკეთდა და ნინო მიხეილის ასული რამდენიმე წელს იმ სკოლაშიც მასწავლებლობდა. ქალიშვილის დაკარგვამ კი უცებ გატეხა წელში ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, დაუღალავი მშრომელი და მრავალ თაობათა გულისხმიერი აღმზრდელი. მწუხარებას ჩაუკეტია იგი სახლში და იქნებ ამიტომაა, რომ ის თანდათან მიივიწყა ხალხმა. უფროს თაობას კი ახსოვს თელავის პირველი ქართული სკოლა, მისი, დაარსებიდან დახურვამდე, შეუნაცვლებელი გამგე და მასწავლებელი ნინო შიუკაშვილი.

ისეთები, როგორიც ნინო მიხეილის ასული გოგნიაშვილია, თითო-ოროლაღა შემოგვრჩენია. ის, რის მომსწრენი, მოწმენი და მონაწილენი ისინი ყოფილან — ერის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ფურცლებია. ჩვენ უნდა ვიჩქაროთ ამ აღუდგენელი პირველწყაროდან მივიღოთ ის, რაც მომავალ თაობებს ძვირფას მემკვიდრეობად დარჩებოდა.

**თინა დონჟაშვილი**



# რობერტინო კვლავ მღერის

იტალიაში, რომის გარეუბნის ერთ პატარა ქუჩაზე, ცხოვრობს ჩვეულებრივი მუშის — ლორეტების ოჯახი. აქ ყოველდღიურად მოაქვს ფოსტალიონს უამრავი წერილი. ისინი პატარა ბიჭუნას — რობერტინო ლორეტის — სახელზეა გამოგზავნილი. იწერებიან „პატარა ჯილის“ ტალანტის თაყვანისმცემლები, მათ შეარქვეს რობერტინოს ცნობილი იტალიელი მომღერლის სახელი და კიდევ „ოქროს ყელი“ და „იტალიელი ბულბული“.

ხომ არ აჭარბებენ?

არა! მართლაც, რომ იშვიათია ასე არაჩვეულებრივად სუფთა, ძლიერი და გამომხატველი ხმა. რობერტინო ძირითადად იტალიური კლასიკური რეპერტუარიდან მღერის. მაგრამ თანდაყოლილი გემოვნების წყალობით, საყოველთაოდ ცნობილ ნაწარმოებებს ახალ იერსა და ელფერს უძებნის იგი.

რობერტინოს მარტივი ბიოგრაფია აქვს. იგი მუშა-მებათქაშის მეხუთე შვილია. ამჟამად მშობლებს რვა შვილი ჰყავთ. სანამ მამა მუშაობდა, ოჯახს ასეთუისე მაინც გაჰქონდა თავი. მაგრამ, როცა ოჯახის ერთადერთი მარჩენალი მძიმედ დაავადდა, ცხოვრება ძალზე გაუჭირდათ.

აი რას გვიამბობს თავის შვილზე დედა — ქალბატონი ჩუსირა:

„ჩემი ბიჭი ოთხი წლისაც არ იყო, როცა მღეროდა ყველაფერს, რასაც კი ყურს მოკრავდა შინ თუ გარეთ, რადიოში თუ ქუჩაში, ითვისებდა უცბად — გაგონება და სიმღერა ერთი იყო. მღეროდა სწორად. მაგრამ მაშინ მე და მამამისს მისთვის არ გვეცალა. ანდა რა იყო გასაკვირი? იტალიაში ხომ ყველა მღერის და ამიტომ არც მისი სიმღერისათვის მიგვიქცევია ყურადღება“.

პირველი ჯილდო „ვერცხლის ნიშანი“ რობერტინომ ერთერთი იტალიური გაზეთის მიერ გამართულ კონცერტზე მიიღო. შემდეგ მან წარმატებით ჩაატარა ოთხი ტური რადიოს მიერ არაპროფესიონალ-ვოკალისტებისათვის გამართულ კონკურსში. პირველ ადგილზე გამოვიდა და ოქროს მედალიც დაიმსახურა. ერთმანეთს მოსდევდნენ პრიზები, თასები, სამახსოვრო საჩუქრები. მაგრამ იმისათვის, რომ სიმღერა ესწავლა და ხმა გამოცდილ პედაგოგებთან დაემუშავებინა, სათანადო სახსრები არ გააჩნდათ. პატარა რობერტინო იძულებული იყო ემღერა კაფე-რესტორნებში, რათა ცოტაოდენი ფული ეშოვნა და ოჯახს დახმარებოდა.

დადგა 1960 წლის ზაფხული. რომში ოლიმპიური თამაშობები ტარდებოდა. ქალაქი გაივსო დედამიწის ყოველი კუთხიდან ჩამოსული სპორტსმენებით, ტურისტებითა და ჟურნალისტებით. რობერტინოც ამ ორომტრიალშია. ის საღამოობით გამოდის კაფე „გრანდ იტალიაში“ და ართობს საზოგადოებას.

სწორედ აქედან, კაფე „გრანდ იტალიიდან“, მოედო მსოფლიოს 1960 წლის სექტემბერში ცამეტი წლის „იტალიელი ბულბულის“ დიდება. დანიის ტელევიზიის მუსიკალურმა რედაქტორმა მისი ხმა ფირზე ჩაწერა. რობერტინო უკვე დანიაშია. იგი ტელევიზორში გამოდის. მისი ხმა გრამფირფიტების საშუალებით მსოფლიოში აჟღერდა. ყოველი მხრიდან იწვევენ რობერტინოს საგასტროლოდ. „ყველაზე პოპულარული საესტრადო მომღერალი, ყველაზე „დიდი ჰონორარით“ — წერენ მის შესახებ.

ყოველი წუთი გაანგარიშებულია. რეპეტიციები, კონცერტები, გრამფირფიტებზე ჩაწერა, კინო და ტელეგადაღებები. სწავლისათვის დროის გამონახვა კი აუცილებელია. აჩქარებენ და თვითონაც ძალას არ ზოგავს, ყოველნაირად ჩქარობს. წელიწადნახევარში დაეწყება ხმის გარდატეხა, ვინ იცის რა მოხდება შემდეგ?

1961 წელს დანიის პრესაში ქვეყნდება ვოკალური ხელოვნების ცნობილი სპეციალისტის გაფრთხილება: „რობერტინოს ხმაში უკვე იგრძნობა გარდატეხის მოახლოება — წერს იგი. — იმისათვის, რომ რობერტინო მომავალში ტენორი იყოს, დროა მან სიმღერა შეწყვიტოს“. ამაზე რობერტინოს იმპრესარიომ სიგვალდ ლარსენმა შემდეგი პასუხი გასცა: ტენორი კი არა, მე ესტრადის მომღერალი მჭირდებაო.

და რობერტინოც განაგრძობს სიმღერას. იგი ავსტრიაშია. ერთერთი გადაღების დროს ბიჭუნა გაცივდა და მძიმედ გახდა ავად. გასტროლები დროებით შეწყდა. ეს დროებითი შესვენება კარგახანს გაგრძელდა, რადგანაც ხმის გარდატეხაც დაიწყო.

ავადმყოფობამ ძალზე მძიმე სახე მიიღო. დაუდევრობით ნემსი უსუფთაო შპრიცით გაუკეთეს. დაეწყო ანთება. შემდეგ, მარჯვენა თეძოზე სიმსივნე გაუჩნდა. მოსალოდნელი იყო დამბლა. დროულმა ოპერაციამ ეს საშიშროება უკუაგდო. საბოლოოდ განკურნებული რობერტინო ისევ კოპენჰაგენში გაემგზავრა. იგი შეუდგა მუსიკის თეორიისა და ვოკალური ხელოვნების შესწავლას. სწავლობს ენებსაც. მის ჯანმრთელობას თვალს ადევნებენ იტალიელი და დანიელი ექიმები. ყველა ურჩევს არ იჩქაროს სიმღერის დაწყება.

ცნობილია, რომ გარდატეხის პერიოდში ხმის იოგები საგრძნობ ცვლილებებს განიცდიან. ამ დროს ძალზე ადვილია მათი დაზიანება, საკმარისია სულ მცირეოდენი დაჭიმვა და ყველაფერი დაიღუპება. და რობერტინოც მოთმინებით იცდის

1962 წლის დეკემბერში რობერტინომ დიდი სიფრთხილით გადადგა პირველი ნაბიჯი: დანიის ტელევიზიის საახალწლო პროგრამისათვის შეასრულა სიმღერა, მაგრამ ექიმები ასკვნიან: ჯერ კიდევ ადრეაო.

ამას წინათ საკდესის კორესპოდენტმა ალექსანდრე პავლოვმა დანიიდან გვაცნობა, რომ კოპენჰაგენის მუსიკალური კომპანია „ტრიოლა“ უშვებს გრამფირფიტას, რომელზეც ჩაწერილია ჭაბუკი რობერტინოს ორი პირველი სიმღერა. რობერტინოს ხმა უფრო ღრმა და ვაჟკაცური გახდა.

სულ ახლახან კი საკავშირო რადიომ რობერტინოს წერილი მიიღო. აი რას წერს იგი:

**„პატივცემულო მოსკოვის რადიო!**

**დიდი ენთუზიაზმით ვწერ ამ წერილს. უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო მთელ საბჭოთა ხალხს, რომელიც ესოდენი სიმპათიით ადევნებს თვალს ჩემს გამოსვლებს. მე ძალზე ამაღელვა ასეთმა ყურადღებამ და არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლიერება.**

**მარტო საბჭოთა კავშირიდან ყოველდღიურად მომდის ჩემს პატივისმცემელთა ორიათასზე მეტი წერილი. მსურს ყოველ მათგანს ვუპასუხო, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად მცირე დრო მაქვს. უნდა მოვემზადო საგასტროლოდ. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში საშუალება მექნება გამოვიდე საბჭოთა კავშირში, რომელთანაც დიდი სიმპათია, პატივისცემა და გულწრფელი აღტაცება მაკავშირებს.**

**გმადლობთ.**

**რობერტინო.“**



# სიყვარული სიყვარულის წილ...

უსიხარულო და მძიმე იყო წარსულში ქართველ ებრაელთა ცხოვრება. გამონაკლისს არც სოლომონ ხანანაშვილის ოჯახი წარმოადგენდა. ღარიბები იყვნენ, მაგრამ ტკბილი ოჯახი კი ჰქონდათ. სოლომონს, მორწმუნე ისრაელს, ძალიან უყვარდა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები. ხუთი შვილი ჰყავდა და ხუთივეს ასწავლა. უფროსი — როზა მაინც განსაკუთრებით უყვარდა, სადაც საინტერესო წიგნს ნახავდა, როზას მიუტანდა — აჰა, შვილო, გიყვარს კითხვა და იკითხეო.

როზას ყველაზე ახლო მეგობრების — ოლია დონდუას და ავდოტია კუჭაიძის ოჯახები ჩაბმული იყვნენ რევოლუციურ საქმიანობაში. ოლია და ავდოტია ფარულად აწვდიდნენ როზას არალეგალურ ლიტერატურას, პროკლამაციებს. რევოლუციურად განწყობილ ქალიშვილზე განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა მისმა მამიდაშვილმა, ცნობილმა რევოლუციონერმა იცკა (აბრამ) რიჟინაშვილმა.

როზა და იცკა ერთად იზრდებოდნენ. იცკა ხშირად იმალებოდა მათს ოჯახში. საფრთხის დროს ქალის კაბითაც კი გაუპარებიათ სახლიდან. 15 წლის ქალიშვილმა 1901 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქალთა ექვსწლიანი სკოლა და უფრო მეტი მონდომებით დაეწაფა თვითგანვითარებას.

როზას ოცნება უყვარდა. პოეტურად ეხატებოდა მომავალი, მაგრამ უცბად გაათხოვეს, უსიყვარულოდ. ოჯახის დედა გახდა და... მერე მოვიდა „ნაგვიანევი" სიყვარული. მალე დედობის განუმეორებელი გრძნობაც ეწვია. პირველ შვილს, პოლიციის მესვეურთა მიერ ვერაგულად მოკლული იცკას ხსოვნის პატივსაცემად, აბრამი დაარქვა, მეორეს — შალვა, მესამეს — ვენერა.

...როზას მოსვენებას უკარგავდა იმ ხალხის დუხჭირი ცხოვრება, რომელთა წრიდანაც გამოვიდა, ვისი სისხლი და ხორციც იყო. ხახამრაბინთა გავლენის ქვეშ მყოფი ებრაელები ცრუმორწმუნეობით იყვნენ შეპყრობილი, კარჩაკეტილნი და კულტურულ-ეკონომიურად ჩამორჩენილნი, დიდ სულიერ და ქონებრივ სილატაკეს განიცდიდნენ.

— ღმერთი უპირველეს ყოვლისა! ღმერთი თუ გწყალობს, ეშმაკიც ვერას დაგაკლებს, აწამე ხორცი ამ წუთიერ წუთისოფელში და შენი სული უკვდავი იქნება სამარადჟამოდ! — ასეთი იყო რწმენა ებრაელებისა.

როზა თავდიდიშვილს დიდი სურვილი ჰქონდა შეესწავლა ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, გაეზიარებინა მათი ჭირვარამი, დახმარებოდა რითაც შეეძლო. სურვილი სურვილად არ დარჩენილა. 1924 წლიდან იგი სისტემატურად აქვეყნებს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში კორესპოდენციებს, ნარკვევებს, ფელეტონებს, მოთხრობებს, ლექსებს, ლეგენდებს... რომ არაფერი ვთქვათ შინაარსზე, მის მიერ გამოქვეყნებული მასალების სათაურებიდანაც კი ნათლად ჩანს ავტორის ჩანაფიქრი, მისი მიზანი. ძველი გაზეთების გაყვითლებულ ფურცლებს დღემდე შემოუნახავს როზა თავდიდიშვილის მიერ ამ ორი-სამი ათეული წლის წინათ გამოქვეყნებული საინტერესო მასალები: „ებრაელ ქალს", „ორი ებრაელის საუბარი", „ეპიზოდები წარსული ცხოვრებიდან", „ხახამი ხახამშრალია", „8 მარტი და ქართველი ებრაელი ქალი", „ქუთაისის რაიონის ქალთა სადელეგატო პუნქტების მუშაობა", „რელიგია მშრომელთა დამონების იარაღია", „ახალი ებრაელი", „მეტი ყურადღება ებრაელთა უბანს" და სხვა მრავალი.

ჟურნალ „მშრომელ ქალში" როზა თავდიდიშვილმა პირველად 1926 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი ებრაელთა ცხოვრებიდან და ამის შემდეგ სისტემატურად ბეჭდავდა ამ ჟურნალში საინტერესო მასალებს.

ქართველი ებრაელი ქალი „კერიას" მოსცილდა! ამასაც არ დასჯერდა და უგულებელყო მამა-პაპის რელიგიური ჩვევები... ცრუმორწმუნენი წყევლა-კრულვას უთვლიდნენ „რჯულის უარმყოფელ" ებრაელ ქალს, „ამტკიცებდნენ" — ყოვლისშემძლე ღმერთი სამაგიეროს მოუზღავსო „მოღალატეს". მაგრამ როზა თავდიდიშვილი გადაურჩა „ღმერთის რისხვას".

როზა თავდიდიშვილი იყო პირველი ქართველი ებრაელი ქალი, რომელიც საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდა. 1926—1928 წლებში მას ირჩევენ ქუთაისის სამაზრო-საქალაქო საბჭოს დეპუტატად და აღმასკომის წევრად, ხელმძღვანელობს ქუთაისის ქართველ ებრაელ ქალთა სადელეგატო პუნქტის მუშაობას, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ქუთაისის წერაკითხვის უცოდინართა სკოლაში.

სადელეგატო პუნქტის მეცადინეობაზე როზა თავდიდიშვილი მსმენელებს საუბრებს უტარებდა სხვადასხვა საინტერესო თემაზე. ებრაელი ქალები სიხარულით ელოდნენ ყოველ მეცადინეობას, მაგრამ ადვილი როდი იყო ზოგიერთი ოჯახიდან თავის დაღწევა—ქმრები არ უშვებდნენ ცოლებს მეცადინეობაზე: როზა გაგაქრისტიანებთო.

ქუთაისში არ ყოფილა არც ერთი საქველმოქმედო საქმიანობა, რომელშიც როზა თავდიდიშვილს მონაწილეობა არ მიეღოს.

1928 წელს ქუთაისში, ებრაელთა უბანში დიდი ხანძარი გაჩნდა. ბევრის სიცოცხლე შთანთქა ცეცხლმა, ბევრი ბავშვი დააობლა და დააგდო ღია ცისქვეშ. ქუთაისის აღმასკომის გადაწყვეტილებით ხანძრისაგან დაზარალებული უპატრონო ბავშვები თბილისის ბავშვთა სახლში უნდა წამოეყვანათ. აქაც სხვებთან ერთად როზას მზრუნველი ხელი ჩაერია.

ხანძრის დროს დაიწვა სინაგოგაც — ებრაელთა სალოცავი. ადგილობრივმა აღმასკომმა წინადადება წამოაყენა, რომ შენობის აღდგენის შემდეგ მასში კლუბი გაეხსნათ. კარგი, კეთილი წამოწყება იყო, მაგრამ საჭირო იყო ებრაელებისაგან მხარის დაჭერა...

როზა თავდიდიშვილი პირველი იყო, რომელმაც მოიწონა ეს წინადადება და ამ საშვილიშვილო თაოსნობას მხარი აუბა. რელიგიური ექსტაზით შეპყრობილი ხალხი მუქარით შეხვდა როზას გამოსვლას. მათი თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ როზას მეუღლეს ქუჩაში უხვდებოდნენ: რად გინდა მაგისთანა ცოლი, ქრისტიანიაო.

1938 წელს როზა თავდიდიშვილი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და მუშაობა დაიწყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" კორექტორად, ამასთან დაიწყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვება, უმეტესად ქართველ ებრაელთა შორის.

როზა თავდიდიშვილის პირველი წიგნი „ეთნოგრაფიული ნარკვევი ქუთაისის ებრაელთა ძველი ყოფა-ცხოვრებიდან", 1940 წელს გამოვიდა. ამ წიგნზე როზა თავდიდიშვილი სამი წელი მუშაობდა. ახლაც იგონებს იგი, თუ რა წინააღმდეგობას აწყდებოდა მორწმუნე ებრაელებში, ისინი ხელს უშლიდნენ მასალის შეგროვებაში, ხმებს ავრცელებდნენ: ებრაელებს დასცინის და მასალებს ნუ მისცემთო...

ამ წიგნმა დიდად შეუწყო ხელი ებრაელ მოსახლეობას ძველი, მამაპაპური ჩვევების დაგმობაში.

როზა თავდიდიშვილი ოთხი საბავშვო წიგნის ავტორია. სულ მალე გამომცემლობა „ნაკადული" ნორჩ მკითხველებს როზა თავდიდიშვილის კიდევ ერთი „საბავშვო მოთხრობების" წიგნით გაახარებს.

77 წლისაა ახლა როზა თავდიდიშვილი, პერსონალური პენსიონერი, მაგრამ მაინც არ უშვებს ხელიდან კალამს: ისევ წერს თავის საყვარელ საბავშვო მოთხრობებს, მუშაობს თავსატეხებზე, გასართობებზე... კვლავ ახალგაზრდაა კარგი შვილების დედის, კარგი შვილიშვილების ბებიის გული. უფროსი შვილი აბრამი ელექტროტექნიკოსია, შალვა—ელექტროინჟინერი, ვენერა—სამთო ინჟინერი. დედასავით „რჯულს გადაუდგნენ" ვაჟიშვილები—ქართველი ქალები ითხოვეს ცოლებად...

ბედნიერია როზა, შვილების, შვილიშვილების და რძლების სიყვარულით გარემოსილი. და კიდევ რა უხარია, იცით? ცეროდენა გოგო-ბიჭებმა რომ შეიყვარეს მისი წიგნები. ბავშვების სიყვარული ყველაზე დიდი ჯილდოა ამაგდარი მწერალი ქალისათვის.

დიახაც, რომ ეკუთვნის ეს ჯილდო— „სიყვარული სიყვარულის წილ"...

**ზაირა აბესაძე**

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## გარდამავალი ასაკი

დედა და მამა უკვე მაგიდას უსხდნენ, როცა კარი ხმაურით გაიღო და ოთახში შემოვიდა მაღალი, გამხდარი ბიჭი, ზემო ტუჩზე მუქი ფერის ბუსუსებით. იგი სწრაფად მიუჯდა მაგიდას, ამასთანავე ხელი წაკრა ჭიქას, რომელმაც დაბლა მოადინა ჩხრიალი, სულმოუთქმელად გადაყლაპა პირველი თავი კერძი და მეორეს მოლოდინში ცარიელ თეფშს მოუთმენლად დაუწყო კოვზით კაკუნი. როცა მამის მოღუშული ცქერა შეამჩნია, კოვზი დადო და დაიმანჭა. სადილის დამთავრებამდე თითქოს ნემსებზე იჯდა, მოუთმენელი და გესლიანი. ბოლოს ერთბაშად გადასანსლა კისელი და სასწრაფოდ ჩააწყო ჩემოდანში სპორტული ნივთები.

— კვირასაც აღარ შეგიძლია ადამიანურად ჭამა! — ვეღარ მოითმინა დედამ.

— ჭკუის სწავლება არ მჭირდება! — წაიბუზღუნა ბიჭმა და კარი გაიხურა.

— რა ემართება საშას? — დაბნეულად თქვა დედამ. — ვეღარ ვცნობ. ნორმალური ბავშვი იყო, ზრდილობიანი, ალერსიანი. არაფერს გვიმალავდა მშობლებს, ახლა კი თითქოს გამოსცვალეს...

ქმარმა ალერსიანად მოხვია ხელი მხარზე.

— ეხ, ანუშკა, ვერ შევამჩნიეთ მე და შენ როგორ გაიზარდა ჩვენი ბიჭი! უკვე 15 წლის ვაჟკაცია. ახლა დახმარება სჭირდება მას. ჩვენ კი არ ვიცით, როგორ დავეხმაროთ.

და განა მარტო საშას მშობლებმა არ იციან როგორ დაეხმარონ ამ ასაკში შვილს? ბევრ მშობელს წარმოდგენაც არა აქვს გარდამავალი ასაკის — სქესობრივი მომწიფების ასაკის — თავისებურებებზე. სწორედ ამ დროს ხდება დიდი ცვლილებები ბავშვის როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ განვითარებაში. ამის არ ცოდნა იწვევს იმას, რომ მშობლები ზოგჯერ დაუფიქრებლად იქცევიან, რასაც შეიძლება მოჰყვეს უსიამოვნო შედეგები მოზარდისათვის, მთელი ოჯახისათვის. ამიტომ ბავშვებს ამ ასაკში უფროსებისაგან უაღრესად გულისხმიერი, მეგობრული დამოკიდებულება ესაჭიროებათ.

სქესობრივი მომწიფების პერიოდი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარების ეტაპებს შორის, ჩვეულებრივად 12-15 წლის ასაკიდან იწყება, მოიცავს მოზარდობისა და ჭაბუკობის ასაკს. ამ პერიოდის დასაწყისში, ცენტრალური ნერვული სისტემის ზეგავლენით, ძლიერდება შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების (გიპოფიზი, სასქესო და ფარისებური ჯირკვლები, თირკმელზედა ჯირკვალი) მოქმედება. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები გამოჰყოფს ნივთიერებებს, ე. წ. ჰორმონებს. სხვადასხვა ჰორმონების ზეგავლენით ორგანიზმში მიმდინარეობს მომწიფების რთული პროცესები.

ბიჭებს ეწყებათ სასქესო ჯირკვლების ფუნქციონირება, ისინი გამოჰყოფენ მამაკაცური ჩანასახის უჯრედებს და სასქესო ჰორმონებს. ამ უკანასკნელთა გავლენით სწრაფად ხდება ბიჭების ფიზიკური განვითარება: სიმაღლეში მატება, ჩონჩხისა და კუნთების განვითარება, უფრო გამოეკვეთებათ სახის ნაკვთები, ეცვლებათ ხმა, სხეულზე უჩნდებათ თმა, ეზრდებათ ულვაში და წვერი. გარდაქმნას განიცდის ნერვული სისტემაც და ფსიქიკაც. ბიჭები ხდებიან აქტიურები, გაბედულები, კერპები, ეღვიძებათ სქესობრივი მიდრეკილება.

გარდამავალ ასაკში ცვლილებები ხდება გოგონების ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაშიც: მათ სწრაფად ეზრდებათ მთელი სხეული, უდიდდებათ სარძევე ჯირკვლები, უგანიერდებათ მენჯის ძვალი, უჩნდებათ მენსტრუაცია (დედათა წესი). ეს იმას ნიშნავს, რომ გოგონა უკვე ბავშვი აღარ არის, თუმცა ჯერ კიდევ არ დადგომია სრული სიმწიფის ხანა. დიდი ცვლილებები ხდება ქალიშვილის ხასიათშიც: ქცევაში უჩნდება სილბო და სინაზე. შეინიშნება მისწრაფება ლამაზი ტანსაცმლისადმი, მიდრეკილება მოპირდაპირე სქესისადმი. დაახლოებით 19 წლის ასაკში სრულდება ქალიშვილის ფიზიკური და სულიერი მომწიფება.

დედა, მასწავლებელი ქალი, სკოლის ექიმი მოვალენი არიან უამბონ ამ ასაკის გოგონებს იმ პროცესებზე, რომლებიც ხდება ქალიშვილის ორგანიზმში სქესობრივი მომწიფების ხანაში, გააფრთხილონ მენსტრუაციის შესახებ, ასწავლონ თუ როგორ მოიქცნენ ამ დროს. გოგონამ ყველაფერი უნდა იცოდეს დედათა წესის შესახებ, იცოდეს, რომ მენსტრუაცია ჩვეულებრივად 27-30 დღეში ერთხელ ემართება ქალს და 3-დან 6 დღემდე გრძელდება. ეს საშუალებას მისცემს წინასწარ დაგეგმოს თავისი სამუშაო დრო, არ გამოეპაროს მენსტრუაციის ციკლის დარღვევა. ქალიშვილმა ისიც უნდა იცოდეს, რომ პირველ წელს მენსტრუაციას არა აქვს რეგულარული ხასიათი.

პირველ მენსტრუაციას ზოგჯერ თან ახლავს საერთო ცუდი განწყობილება, სისუსტე, მუცლის ქვემო არეებში ტკივილი. მაგრამ შემდეგ თუ ასეთი მოვლენები განმეორდება, აუცილებელია მკურნალობა, არა შინაური საშუალებებით, არამედ ექიმთან. მენსტრუაციის დროს ზოგჯერ ქალიშვილი წონასწორობასაც კარგავს: ხდება ფხუკიანი, მტირალა, მიზეზიანობს. უფროსებმა ამ დროს თავი არ უნდა მოაბეზრონ მას ზედმეტი შეკითხვებით, გადაჭარბებული ზრუნვა ასეთ დროს გამაღიზიანებლად მოქმედებს, ამასთან გარეშე ადამიანთა ყურადღებასაც იქცევს, რაც უხერხულობაში აყენებს ქალიშვილს. ნორმალურად მიმდინარე მენსტრუაცია სავსებით ბუნებრივი მოვლენაა ქალისათვის. მენსტრუალური ციკლი რომ არ დაირღვეს, ქალიშვილი უნდა მოერიდოს სხეულის გაცივებას, არ დაჯდეს მიწაზე, ცივ და ნესტიან ამინდში არ ჩაიცვას თხელი საცვლები, ტანსაცმელი ყოველთვის შეუხამოს წელიწადის დროსა და ამინდს. მენსტრუაციის დროს დაუშვებელია ბანაობა, აბაზანების მიღება, მკვეთრი მოძრაობანი, ხტუნვა.

უფროსი კლასების მოსწავლე ვაჟებს ამ საკითხზე მამები და პედაგოგი მამაკაცები უნდა ესაუბრონ. უკეთესი იქნება თუ მათ საუბარს ჩაუტარებს ექიმი მამაკაცი — უროლოგი, თერაპევტი, მოუთხრობს განვითარების იმ თავისებურებებზე, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ასაკისათვის, ყოფაქცევის ნორმებზე, ალკოჰოლის მავნეობაზე, პირადი ჰიგიენის წესებზე.

მოზარდის აღზრდისათვის საერთოდ და სქესობრივი აღზრდისათვის კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახურ გარემოს. თუ მეუღლეები ერთმანეთისადმი გამსჭვალული არიან პატივისცემითა და სიყვარულით, თუ ოჯახში სიმშვიდე და თანხმობაა, ბავშვებიც მშვიდი და დინჯი ხასიათისანი იზრდებიან.

ჩვეულებრივად, ბავშვები ცდილობენ უფროსებს მიბაძონ ყველაფერში. სწორედ ამიტომ მშობლები ვალდებულნი არიან ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ თავიანთ საქციელს. არასწორი აღზრდისა და ოჯახში ცუდი ვითარების შედეგია თუ მოზარდი ალკოჰოლს მისდევს, გარყვნილებას ეწევა, დანაშაულს ჩადის.

სწორი აღზრდისათვის არამცირე მნიშვნელობა აქვს დღის რეჟიმს. მშობლები და აღმზრდელები უნდა დაეხმარონ ბავშვს ამ რეჟიმის შედგენასა და შესრულებაში. მოზარდმა

* იბეჭდება შემოკლებით

უნდა იძინოს სულ ცოტა 8 საათი, ყოველთვის ერთსადაიმავე დროს დაწვეს და ადგეს, ძილის წინ ისეირნოს სუფთა ჰაერზე. რეკომენდებული არ არის დაწოლის წინ შავი ყავის ან მაგარი ჩაის დალევა. ეს აღაგზნებს ნერვულ სისტემას და ხელს უშლის ნორმალურ ძილს. დილას, გაღვიძებისთანავე უნდა ადგეს (ლოგინში დიდხანს წოლა იწვევს სქესობრივ აღგზნებას), შეასრულოს დილის ვარჯიში, მიიღოს შხაპი, ან ტანი წელს ზევით ცივი ტილოთი დაიზილოს. ტანვარჯიში და წყლის პროცედურები მოზარდს უქმნის მხნე განწყობილებას, კარგ ხასიათზე აყენებს, ამასთან ხელს უწყობს ორგანიზმის გამოწრთობას. მოზარდის საკვები უნდა იყოს მრავალფეროვანი, კალორიული და ვიტამინებით მდიდარი. საჭირო არ არის მივცეთ მას ცხარე კერძები და სანელებლები, რადგან ისინი იწვევენ ნერვული სისტემის აღგზნებას, ცუდად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავზე. განსაკუთრებით უნდა მოვარიდოთ ბავშვი ალკოჰოლს. ალკოჰოლი არღვევს ტვინის მოქმედებას, აბნელებს გონებას, ამცირებს შრომისუნარიანობას, აჩლუნგებს მოვალეობის გრძნობას, ადამიანურ ღირსებას, ხელს უწყობს სქესობრივ აღგზნებას. სწორედ სიმთვრალის დროს შეუძლია ჩაიდინოს მოზარდმა (და არამარტო მოზარდმა) ყოველგვარი სისაძაგლე და დანაშაული.

ნიკოტინიც ცუდად მოქმედობს კუჭ-ნაწლავზე, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. სამწუხაროდ, ბევრი მოზარდი ეწევა თამბაქოს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

განსაკუთრებით ცუდია მოზარდის ორგანიზმისათვის ადრეული სქესობრივი ცხოვრება. ეს იწვევს ნერვული სისტემის მოქმედების დარღვევას: გაღიზიანებას, ძილის გატეხას. სქესობრივი ცხოვრება დიდ ენერგიასართმევს მოზარდებს, ისინი ხდებიან მოდუნებულნი, ჩქარა იღლებიან, უჭირთ დაკისრებული სამუშაოს, საშინაო დავალებების თავის გართმევა. გარდამავალ ასაკში არც ბიჭი და არც გოგონა მზად არ არის სქესობრივი ცხოვრებისათვის. სწორედ ამიტომ ადრეულმა სქესობრივმა ცხოვრებამ მოზარდს შეიძლება მოუტანოს ფრიად მძიმე შედეგები.

ადრეული სქესობრივი ცხოვრების დაწყებას შეიძლება ხელი შეუწყოს აგრეთვე ზოგიერთმა კინოსურათმა და სატელევიზიო დადგმამ, მოზარდის თანდასწრებით უფროსების საუბრებმა ცოლქმრული ორგულობის, სქესობრივი აღვირახსნილობის შესახებ, მიუღებელი ანეგდოტების მოსმენამ.

მომწიფების პერიოდში მოზარდებს სწრაფად უვითარდებათ გონებრივი უნარი, ფართოვდება მათი ინტერესების წრე. ახალგაზრდები ასწრებენ შრომასაც, სწავლასაც, საზოგადოებრივი დავალების შესრულებასაც და გართობასაც. მათ ეღვიძებათ ხელოვნებისადმი ინტერესი. მოზარდები ბევრს კითხულობენ, ზოგიერთები ცდილობენ თვითონვე დაწერონ ლექსები და მოთხრობები. უფროსები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ მოზარდის კითხვას, ურჩიონ რა წაიკითხოს, რადგან მას ხშირად უჭირს წიგნების ამორჩევა. ზოგჯერ მოზარდს ხელში ჩაუვარდება მისი ასაკისათვის შეუფერებელი წიგნები (მოპასანი, ზოლა, ბოკაჩიო). ასეთ შემთხვევაში ერთბაშად არ წაართვათ წიგნი. ეს გამოიწვევს წიგნისადმი გაძლიერებულ ინტერესს, იგი შეეცდება ფარულად წაიკითხოს წიგნი. განუმარტეთ ბავშვს, რომ მისთვის ადრეა ამ წიგნის წაკითხვა, სულერთია ბევრს ვერაფერს მიხვდება, რამდენიმე წლის შემდეგ კი მისთვის გასაგები იქნება ყველაფერი. ამავე დროს თვალსაჩინო ადგილზე დადეთ რომელიმე წარმტაცი შინაარსის წიგნი, ხმამაღლა წაუკითხეთ საინტერესო ნაწყვეტი ამ წიგნიდან. წარმართეთ მოზარდის მჩქეფარე ენერგია საჭირო მიმართულებით, რაც შეიძლება მისთვის შეუმჩნევლად, რჩევა-დარიგების სახით, ზედმეტი მეურვეობის გარეშე. ეს საჭიროა, რადგან ამ დროს მოზარდს უჩნდება მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. მეტისმეტი ზრუნვა კი გააღიზიანებს მას.

მომწიფების პერიოდში მოზარდს ეღვიძება ინტერესი მოპირდაპირე სქესისადმი — უჩნდება პირველი სიყვარული. ბიჭი და გოგონა ცდილობენ ერთად წავიდნენ თეატრში, კინოში, კონცერტზე, სპორტულ ვარჯიშზე, სასეირნოდ. ამ დროს მშობლებმა არ უნდა დასცინონ მოზარდს, არ იოხუნჯონ ამ თემაზე სხვების თანდასწრებით. ამ მხრივ ყოველ გაუფრთხილებელ ნაბიჯს, უხეშობას შეიძლება მოჰყვეს შვილის განაპირება მშობლებისაგან, გახადოს იგი გულჩახვეული და მიუნდობელი. მაგრამ არც ისე შეიძლება, რომ მშობლები ინტერესს არ იჩენდნენ იმისადმი, თუ სად დადიან მათი შვილები, როგორ ისვენებენ, ვისთან მეგობრობენ.

მოზარდის სქესობრივი აღზრდის სერიოზული პირობაა შრომა. ადრეული ასაკიდან მიაჩვიეთ ბავშვი მისთვის შესაფერ შრომას. დააკისრეთ გარკვეული ვალდებულება ოჯახში, მაგალითად, თვითმომსახურების მხრივ. დაარწმუნეთ, რომ შრომა მისთვის წარმოადგენს არამარტო საზოგადოებრივ, არამედ ფიზიკურ აუცილებლობასაც. შრომა დიდ როლს ასრულებს მოზარდის ხასიათის ჩამოყალიბებასა და ნებისყოფის გამომუშავებაში. ასე აღზრდილი ბავშვი იოლად იტანს გარდამავალი ასაკის სიძნელეებს.

მოზარდისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სპორტი. იგი არამარტო სხეულს უკაჟებს და ხელს უწყობს ნორმალურ ფიზიკურ განვითარებაში, არამედ მის ყურადღებას აცილებს სქესობრივ ცხოვრებას და ცუდ ჩვევებს.

სქესობრივი აღზრდის საკითხებში, — წერდა ა. ს. მაკარენკო, — გადამწყვეტია არა რომელიმე ცალკეული ხერხი, სპეციალურად განკუთვნილი სქესობრივი აღზრდისათვის, არამედ აღმზრდელობითი მუშაობის საერთო სახე, მთლიანად მთელი მისი სურათი.

**ო. ხონონოვა,**

**ექიმი.**

ჟურნალიდან „სემია ი შკოლა".

# მოვამშვენოთ საახალწლო სუფრას



## გოზინაყი

თითბრის ან სპილენძის ქვაბში ჩაასხით ნახევარი კილო თაფლი, შედგით ნელ ცეცხლზე და ადუღეთ, თან განუწყვეტლივ ურიეთ მანამ, სანამ ქაფი არ მოსცილდება. გოზინაყი რომ მტვრევადი და მაგარი გამოგივიდეთ, თაფლს 2-3 სუფრის კოვზი შაქარი დაამატეთ. შემდეგ მასში ჩაყარეთ წინასწარ კანგაცლილი და სიგრძივ წვრილ ნაჭრებად დაჭრილი 600-700 გრ ნიგოზი, ხარშეთ 10-15 წუთი. მზა გოზინაყი გადმოდგით და წყლით დასველებულ ფიცარზე ან თეთრ ქაღალდზე გაათხელეთ კოვზით. მერე რომბის ფორმის ნაჭრებად დაჭერით და ლანგარზე ლამაზად დალაგებული, სადღესასწაულო სუფრაზე მიიტანეთ.

## ბ ე ზ ე

ორი კვერცხის ცილა გათქვიფეთ. თანდათანობით უმატეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და შეუწყვეტლივ თქვიფეთ. მიღებული მასალა ჩაის კოვზით პატარ-პატარა გუნდებად მოათავსეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცლებზე. შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში და გამოაცხვეთ. გამომცხვარი ბეზე ღუმლიდან გამოღებისთანავე დანით აიღეთ.

ბეზე შეგიძლიათ ნიგვზითაც დაამზადოთ. ამისათვის საჭიროა ათქვეფილ ცილასა და შაქარში შეურიოთ მოხალული, მსხვილად დაკეპილი ნიგვზის ან თხილის გული (½ ჩაის ჭიქა) და ჩვეულებრივად გამოაცხოთ.

## ტორტი

3 კვერცხის გულისა და 300 გრ შაქრისაგან მოამზადეთ გოგლიმოგლი. ცალკე ათქვიფეთ (არც სულ გათეთრებამდე) კვერცხის ცილა, აურიეთ გოგლიმოგლში, დაუმატეთ 350 გრ პურის ფქვილი და ურიეთ ქვემოდან ზემოთ. შემდეგ ცომი ჩაასხით ერბოწასმულ მრგვალ ფორმაში — ყალიბში და გამოაცხვეთ.

კ რ ე მ ი: ორი კვერცხის გულისაგან მოამზადეთ გოგლიმოგლი (გათეთრებამდე), ჩაუმატეთ 2-3 ჩაის კოვზი კარტოფილის ფქვილი. დაასხით 2 ჩაის ჭიქა წამოცხელებული რძე. კარგად აურიეთ. შედგით ნელ ცეცხლზე და განუწყვეტლივ ურიეთ, წამოდუღებამდე გადმოდგით. შეგრილებულში აურიეთ 60-70 გრ კარაქი, შემდეგ გაყავით შუაზე, ერთ ნაწილს მიეცით ვანილის ან ლიმონის ესენცია, მეორე ნაწილში აურიეთ დახეხილი შოკოლადი ან ერთი ჩაის კოვზი კაკაოს ფხვნილი. ნამცხვარი გაჭერით სიბრტყეზე. ერთ ნაწილს წაუსვით თეთრი კრემი, ზემოდან დააფარეთ მეორე ნაწილი და გვერდებზე წაუსვით ყავისფერი კრემი. ტორტს გვერდებზე შემოაყარეთ ნიგვზის ნაჭრები, ყავისფერი კრემით დააწერეთ სადღესასწაულო თარიღი.





## შემწვარი გოჭი

კარგად გაწმენდილ გოჭს შიგნეული ამოაცალეთ და მაგრად გარეცხეთ. წაუსვით მარილი მუცლის ღრუში და კანზე, თუ ამის პირობებია, წამოაგეთ შამფურზე და განუწყვეტელი ტრიალით შეწვით მაღალი სიძლიერის ცეცხლზე, ანდა მაგრად გახურებულ ღუმელში (ცხადია, უშამფუროდ). ასე შემწვარი მეტად მტვრევადი და გემრიელი გამოდის. შეწვის პროცესში ქათმის სუფთა ფრთით გოჭს გადაუსვით მარილწყალგარეული ერბო ან კვერცხის გული.

ძალზე გემრიელია თავის შიგნეულით, ყველით ან ბრინჯით გატენილი შემწვარი გოჭი.

ნაწლავები გარეცხეთ ჯერ წყლით, მერე სიმინდის ფქვილით, შემდეგ მარილით და ბოლოს ისევ სუფთა წყლით. მერე შიგნეულთან ერთად დაჭერით და მოხარშეთ. როცა მოიხარშება, უფრო წვრილად დაჭერით, უყავით პილპილი, დანაყილი ქინძი, მარილი, წიწაკა და აურიეთ. გამზადებული მასალა მოათავსეთ გარეცხილ და მარილწასმულ გოჭის მუცელში, ამოკერეთ მსხვილი თეთრი ძაფით და შეწვით.

ყველით კი ასე დამზადდება: შიგნეული ჩაყარეთ მდუღარე წყალში. ცოტახნის ხარშვის შემდეგ ამოიღეთ, წვრილად დაჭერით და შეურიეთ ორი უმარილო იმერული დაფშვნილი ყველი. მოაყარეთ დანაყილი ხმელი ქონდარი, მარილი და წიწაკა გემოვნების მიხედვით. ამ ნარევით ამოავსეთ გარეცხილი, მარილმოყრილი გოჭის მუცლის ღრუ, ამოკერეთ და შეწვით.

## საცივი

კარგად გასუფთავებული შინაური ფრინველი (ინდაური, ქათამი, იხვი) ჩადეთ მოზრდილ ქვაბში და ოდნავ მოხარშეთ. შემდეგ ამოიღეთ, წაუსვით მარილი, შედგით ღუმელში და შეწვით გაწითლებამდე. ფრინველის ნახარშ წვენს მოხადეთ ცხიმი და შეინახეთ (შემდეგ დაგჭირდებათ). კარგად დანაყეთ: 300-400 გრ ნიგოზი, 2-3 კბილი ნიორი, 3-4 ძირი ქინძი, გემოვნებით მარილი და წიწაკა. მერე ეს ყველაფერი გახსენით ბულიონში, ჩაუმატეთ შიგ ფრინველის ქონში მოშუშული ხახვი, დადგით ცეცხლზე და განუწყვეტლივ ურიეთ. ადუღეთ დაახლოებით 15-20 წუთი. ცოტა ხნით ადრე, სანამ მზად იქნებოდეს, დაუმატეთ გემოვნებით ღვინის ძმარი, 1 ჩაის კოვზი დანაყილი ზაფრანა, დაფქვილი მიხაკ-დარიჩინი და დანაყილი პილპილი. შემწვარი ფრინველი დაჭერით, ჩააწყვეთ მდუღარე წვენში და რამდენიმეჯერ წამოადუღეთ. სუფრაზე მიტანამდე კარგად გააცივეთ.

## ღორის თავფეხის საცივი

(ხალადეცი)

ღორის თავ-ფეხი კარგად გარეცხეთ. თავი გაჭერით ოთხად (ტვინი ამოაცალეთ და ცალკე იხმარეთ), ფეხებიც ოთხად გაჭერით. ჩაალაგეთ დიდ ქვაბში და დაასხით წყალი, ისე რომ ზევიდან ადგეს ოთხ თითზე. დუღილის დაწყების დროს მოაცილეთ ქაფი. როცა კარგად მოიხარშება, ქვაბიდან ამოალაგეთ ხორცი, მოაყარეთ მარილი და გააცივეთ. ძვლების ხარშვა განაგრძეთ და თან ჩააყოლეთ: 3 ძირი ოხრახუში, 1 ძირი ნიორი, 2-3 თავი ხახვი, 2 ცალი სტაფილო, 3-4 დაფნის ფოთოლი, ერთი ჩაის კოვზი მარცვალი პილპილი. ხარშვის დამთავრებისას ოდნავ უყავით მარილი. ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ ერთ საათს გააჩერეთ ასე. ხორცი წვრილად დაჭერით და ჩაალაგეთ ღრმა მომინანქრებულ ჯამებში, ზევიდან მოასხით ნახარში წვენი თანაბარი რაოდენობით (ძვლები და მწვანილი დარჩება ქვაბის ძირში).

წვენი შეგიძლიათ შეაზავოთ ყვითელი ყვავილით, უცხო სუნელით, ქინძის თესლით, დანაყილი შავი პილპილით, დანაყილი ნივრით.

ხალადეცი გააცივეთ და გრილ ადგილას შეინახეთ. ასე მან შეიძლება ერთ თვემდის გაძლოს.


რედაქტორი თ. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.

მხატვრული რედაქტორი ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა. ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-63 წ. ქაღალდის ზომა 60×92, ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორმათა რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი—სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71.
ტირაჟი 48.000. ფასი 30 კაპ.
შეკვეთის № 2390, უე 12239

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сакартвелос Кали".

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდელები მხატვარ ი. კულგვერის





1. სათხილამურო მოჩითული ხალათი ბამბის ქსოვილისაგან, თბილი სარჩულით. საყელო, მანჟეტი და ბოლოზე მიკერებული ნაწილი მოქსოვილია ჩხირებზე შალის მსხვილი ძაფით.

2. თბილი ჟაკეტი ქარგაუმტარი ბამბის ან შალის ქსოვილისაგან, ბეწვის საყელოთი. ჟაკეტს შეიძლება ქვეშ დაედოს ხელოვნური ბეწვის ან თხელი პოროლონის (ღრუბელის მაგვარი ნეილონი) სარჩული.

3. სათხილამურო ხალათი უსაყელო, წყალგაუმტარი ქსოვილისაგან, მხრის ქვევით (3-4 სმ) მიდგმული სახელოებით. ქამარს გაყრილი აქვს ფართო რეზინი. მანჟეტები მოქსოვილია.

4. თბილი, დალიანდაგებული ჟილეტი პოროლონის თხელ სარჩულზე. მასალა — თხელი შალი ან წყალგაუმტარი ქსოვილი. ჯიბეები გაჭრილია.

5. სათხილამურო ხალათი კაპიუშონით, თხელ სარჩულზე. მასალა — სქელი მოჩითული ბამბის ქსოვილი. ხიგრძეზე გაჭრილი ჯიბეებით, „მოლნიაზე“ შესაკრავი. ბოლოში გაყრილი ქამარი შეიძლება შეიცვალოს ფართო რეზინით.



ნ 26ა/16

ИНДЕКС 76177

შესვენება

ასე იყო სამგორში

ბაზარი გოდგისხევში





